708
1998

2

ძველი მეგობარი

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი ირაკლი ციციშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ანდრია აფაქიძე
მაია ასანიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ნოდარ ბახტაძე
ვახტანგ ბერიძე
პარმენ ზაქარაია
მარიამ ლორთქიფანიძე
ოთარ ლორთქიფანიძე
ლევან მატარაძე
თამაზ ნათიძე
გივი პაპალაშვილი
ჯულიეტა რუხაძე

ჟურნალი დაარსდა 1964 წელს

გარეკანზე – ძველი მუსხი, სტელა მე–6 ს.

ფოტო ნ. ვაჩეიშვილის

ინგლისური ტექსტი მოამზადა მარინე ყენიამ
დააკაბადონა თეიმურაზ დევეიშვილმა

რედაქციის მისამართი: თბილისი, შავთელის ქ. 5/7
ტელ.: 98 87 94
93 36 18

1998
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
Georgian society for protection of historical and cultural Monuments

ძეგლის მეგობარი

№2 (101)

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი

ჟურნალი გამოდის საზოგადოებრივ საწყისებზე

1998 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ციციშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

კვლავ ციკლოპური ციხეების მნიშვნელობის შესახებ

2123

ციკლოპური ციხეები, როგორც უწოდებენ ქვის დიდი ლოდებით, უდუღაბოდ აგებულ კედლებით შემოზღუდულ ნამოსახლარებს, ჯერ კიდევ მრავლადაა შემორჩენილი ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში: მესხეთ-ჯავახეთში, თრიალეთში, ხრამისა და ალგეთის აუზებში, აგრეთვე სომხეთში (სევანის ტბის რეგიონში) და დასავლეთ აზერბაიჯანში. სამწუხაროდ, ეს ძეგლები დღემდე სათანადოდ არაა შესწავლილი და სრულიად დაუმსახურებლადაა იგნორირებული როგორც არქიტექტურის ისტორიკოსების, ასევე არქეოლოგების მხრიდანაც. ცალკეული აღწერები უმთავრესად რეგისტრაციული ხასიათისაა და არ ემყარება აუცილებელი არქეოლოგიური გათხრების მონაცემებს.

ლ.მელიქსეთ-ბეგი, რომელსაც ჩატარებული აქვს დიდი სამუშაო საქართველოს მეგალითური კულტურის ძეგლების ფიქსაციისათვის, თვლის, რომ ყველა ციხეები ერთი სისტემისაა და იშვიათი გამონაკლისის გარდა მიეკუთვნება კაცობრიობის ისტორიის ერთი და იმავე ეპოქას, კერძოდ - „ქალდებისა და ვანის მეფეების სახელოვან პერიოდს ძვ.წ.ა. IX-VII სს“ [1]. ცნობილი სომეხი ხელოვნებათმცოდნე და ხუროთმოძღვარი თ.თორომანიანი იმის გამო, რომ ციკლოპურ ნაგებობებში გამოყენებული ლოდები არაა დამუშავებული, რაც გულისხმობს, რომ მაშინ ადამიანის განკარგულებაში ჯერ არ იყო ლითონის იარაღი, მიაკუთვნებს ციკლოპურ ნაგებობებს ქვის ხანას [2]. ვფიქრობთ, ასეთი სახის ნაგებობათა გაჩენა მიგვითითებს გვაროვნული წყობილების დაშლის პერიოდზე [3].ციკლოპური ციხეების არქეოლოგიური შესწავლა პირველად ბ.კუფტინმა წამოიწყო. მან ბეშთაშენის ციხეზე ოთხი თხრილის განხორციელების შედეგად გამოავლინა გვიანბრინჯაოს ხანის საკმაოდ მეტყველი მასალა და ამგვარად ციკლოპური ნამოსახლარების თარიღი ძვ.წ.ა. III ათასწლეულით განსაზღვრა [4]. მას შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში ციკლოპურ ციხეებზე გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებანი [5, 6, 7, 8].

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

1990 წლიდან ციკლოპურ ნამოსახლარების გეგმაზომიერ არქეოლოგიურ კვლევას აწარმოებს წალკის არქეოლოგიური ექსპედიცია, რაც იმედს გვაძლევს, რომ ისინი სათანადოდ იქნება შესწავლილი [9].



სურ.1. ბეშთაშენი. ციხის გეგმა.

ციკლოპური ციხეები საჭიროებენ ყოველმხრივ შესწავლას. პირველყოვლისა გარეგანი ნიშნებით, სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის მიხედვით, რომლებიც განსაკუთრებით კონსერვატულია და ვრცელდება ენეოლითიდან ვიდრე ფეოდალურ ხანამდე. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ ციკლოპური ციხეები იმ სახით, როგორც ისინი მოღწეულია ჩვენ დრომდე, წარმოდგენას გვიქმნიან მხოლოდ მათი არსებობის ბოლო პერიოდზე. ალბათ არ შეიძლება განვიხილოთ ისინი სტატიკაში, ხანგრძლივი და რთული ისტორიული განვითარების გათვალისწინების გარეშე. იშვიათ შემთხვევაში, როდესაც ძეგლი მთელია და მიტოვებულია იმ სახით, როგორსაც მოუსწრო ნგრევამ, იმ შემთხვევაშიაც თუ იგი დაზიანებულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, ქვების გატანის მიზნით საკუთარ მშენებლობისათვის. ძეგლების განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ ისეთი საკითხები როგორიცაა: ციხისათვის ადგილის შერჩევა, ციხისა და ნამოსახლარის

ურთიერთ მდებარეობა, სამაროვნები და მათი ინვენტარი, საცხოვრებელი სახლების ტიპები და ხასიათი, ციხის კედლების სისტემა და სამშენებლო ტექნიკა [3].

აღვნიშნოთ ყველა ციკლოპური ციხეებისათვის დამახასიათებელი ნიშნები: პირველყოფილისა მათი ადგილმდებარეობის მსგავსება და სამშენებლო ტექნიკა. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ადგილი სადაც განლაგებულია ციკლოპური ციხეები ვულკანური მოქმედების შედეგად ძლიერ დაღარულია დაბალი ველებითა და ბორცვებით. ციხეების ასაგებად შერჩეულია ძნელად მისადგომი ბორცვები ან მთის კალთები გაბატონებულ ადგილას, აუცილებლად მდინარის პირას ან მთის წყაროს მახლობლად. ციხეების გავრცელება საქართველოს გარკვეულ რაიონებში (თრიალეთი, ჯავახეთი, ქვემო ქართლი), სომხეთში (არაგაცის მთის კალთები, სევანის ტბის მიდამოები), აზერბაიჯანში (აირუმის მთები, ბორცვები კიროვოკანიდან სევანის ტბამდე) აიხსნება ამ ადგილებში მზამზარეული სამშენებლო მასალის არსებობით. მშენებლობისათვის შერჩეული მთები წარმოადგენს ვულკანური წარმოშობის მკვრივი ჯიშების (ანდეზიტო-ბაზალტები, ტრაქიტები) ბუნებრივ განფენას. ეს ჯიშები ატმოსფერული პროცესების გავლენით იხლიჩება ცალკეულ ლოდებად, ახლეჩვის ფართო ზედაპირით, რაც ხელს უწყობს მათ გამოყენებას სამშენებლო მასალად, დამუშავების გარეშე. ვულკანური ქანების ამ თვისებების გამო იქმნება აგრეთვე მღვიმეების მსგავსი ნაპრალები, რომლებსაც იყენებს პირველყოფილი ადამიანი საცხოვრებლის მოსაწყობად. ასეთ მოვლენას აღნიშნავს გეოლოგი გ.წულუკიძე მანგლისის მახლობლად მდებარე ყვითელ მთაზე - „ქვის ჯიშებმა იპოვეს აქ გამოსავალი ზედაპირზე ფართო და გრძელი ნაპრალის სახით, რომელიც გრძელდება დასავლეთით თითქმის ბაშკოვის მთის ტბამდე. ინგრევა რა იგი, იძლევა მრავალ დიდ ლოდებს, რომლებიც ბაეისი მდებარეობით ქმნიან ქვაბულების მაგვარ სივრცეებს, და რომლებშიაც მოგზაურთა თხრობით, იყო ნახული წარღვნამდელი ცხოველების ძვლები. ერთ-ერთ შედარებით მისაწვდომ გამოქვაბულში ჩვენ ვიპოვეთ ქვის დიდი ქალქვა, წონით 6 ფუთამდე პრიზმატული მონოლითისაგან, მასში გაყრილი ყურით და ზოგიერთი ამავე ჯიშის სხვა საგნები“ [10]. ქვაბა ასეთი ხროვა ასახულია ქართულ მატიანეებში სახელწოდებით ქვა-ყრილი (კარკნალი, ლოდოვანი და სხვ.). სწორედ ასეთი წარმონაქმნები გამოიყენებოდა ადამიანის მიერ საცხოვრებლად და ეგებ სწორედ ასეთი ლოდოვანები წარმოადგენდნენ უძველეს ციკლოპურ ნამოსახლარებს. ერთი ასეთი ნასახლარი- „ბედენის ლოდოვანი“ იმყოფება ბედენის მთის კალთაზე სოფელ გოხნარისაგან 2 კმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანძილზე. ნასახლარი მდებარეობს ტერასებზე ოთხ ჯგუფად, სადაც ყოველი ჯგუფი წარმოადგენს ლაბირინთს ვიწრო გასავლელებით ლოდებს შორის, ოვალური ფორმის სენაკებამდე. ჯგუფში შედის სამიდან ათამდე საკანი. გეგმაში ასეთი ნაპრალები გვაგონებს ე.წ. „კრაზანის ბუდის" სქემის დამახასიათებელს თემური წყობილებისათვის [11].



სურ.2. გუმბათი. ციხის გეგმა

ციკლოპური ციხეების კედლების წყობა ჩვეულებრივ შედგება დაუმუშავებელი ქვების- ლოდების ორი ნაპირა რიგისაგან. საშუალოდ ქვების ზომებია 0,6 - 1,2- 2,0 მ, სიმაღლე ერთ მეტრამდე. ქვები უსწორმასწოროა და უწესო ფორმის, მაგრამ მორგებულია წყობაში ერთმანეთთან. ლოდების ორ რიგს - მიმმართველებს შორის რჩება თავისუფალი სივრცე ორიდან ხუთ მეტრამდე. ეს სივრცე ივსებოდა უფრო მცირე ზომის ქვებით, ამავე ჯიშის ქვათა ნატეხებით. ეს ჩაყრილი ქვები შეკავებულია მსხვილი ლოდების შემწეობით. როგორც ცნობილია, ასეთი წყობა საფუძვლად დაედო არა მარტო ციკლოპური ციხეების ზღუდეებს, არამედ ფეოდალური საქართველოს ყველა ნაგებობას და ჩვენ დრომდეც მოაღწია. შემდგომში მცირე ზომის ქვებით შევსება განიცდის ცემენტირებას (კირის დუღაბი) და ღებულობს საკუთარ მდგრადობას. ქვები გარე რიგებში უკვე გათლილი ქვების სახით აღარ ასრულებენ სამაგრის ფუნქციას და მათ მოპირკეთების როლი ენიჭება. როგორც აღინიშნა,

ციკლოპური ციხეების კედლები აგებულია დაუმუშავებელი ლოდებით უხსნაროდ, მშრალი წყობით. მათი სიმაღლე აღწევს 4-6 მეტრს და ახასიათებთ გასწორებული ზედაპირი. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ქვის წყობა უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენდა საფუძველს ალიზის წყობისათვის [12].

ეჭვს გარეშეა, რომ ციკლოპური ციხეების გენეზისის განმსაზღვრელი ფაქტორია მათი საზოგადოებრივი საჭიროება, რომელიც დაგვეხმარება გავარკვიოთ არა იმდენად მათი ზუსტი თარიღი, რამდენადაც სოციალური სტრუქტურა, რომელმაც განაპირობა ამ ნაგებობათა არსებობა. ზემოთ მოყვანილი ნამოსახლარების მდებარეობა მაღალმთიან საძოვრებზე (თრიალეთი, ბედენი) მიგვითითებს, რომ მოსახლეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მეცხოველეობასთან, უპირატესად კლდოვან ადგილებში ადვილად მოძრავ და ამტან წვრილფეხა საქონელთან. ასეთი თავისებურება თითქოს მიგვანიშნებს ამ დასახლებათა მიკუთვნებაზე ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანაზე, როდესაც ამიერკავკასიაში ინტენსიურად ვითარდებოდა სწორედ მეცხოველეობა. შეიძლება დაგვეხმაროს კიდევ ერთი დაკვირვება. ამდროინდელი ციკლოპური ციხეები აღმართულია ძირითადად არა მთის წვერზე, არამედ მთის კალთის შუა ადგილას. ჩვენი დაკვირვებით, მთა, ციკლოპური ციხის ზემოთ სრულიად თავისუფალია ახლესილი ქვის ჯიშებისაგან და ქვემოთ კი მთლიანად დაფარულია ამ ქანებით. საფიქრებელია, რომ მძიმე ლოდების ატანის ნაცვლად უპირატესობას აძლევდნენ მათ ჩამოგორებას ქვემოთ, ზღუდის ასაგებ ადგილამდე. ამ საქმით უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი გვაროვნული წყობილების დროს ტომის მამაკაცები, ხოლო ქალები და ბავშვები ავსებდნენ მცირე ქვებით ზღუდეების შიდა სივრცეს.

ასეთი ციკლოპური ციხეები წარმოადგენდნენ მის გარშემო მცხოვრები მოსახლეობის და მისი ქონების (ძირითადად პირუტყვის) თავშესაფარს მტრის თავდასხმის შემთხვევაში. ასეთ მტრად ძირითადად ითვლებოდნენ მეზობელი ტომები, ვინაიდან დიდი და კარგად შეიარაღებული ლაშქრისათვის მათ წინააღმდეგობის გაწევა გაუჭირდებოდათ. ურარტუს მეფე არგიშთი I ამბობს, რომ მან დიაუხის ერთ ნაწილში 105 ციხესიმაგრე და 453 ქალაქი აიღო, ხოლო სარდური II იკვეხნის, რომ მან ერთი დღის განმავლობაში 35 ციხესიმაგრე და 200 ქალაქი ჩაიგდო ხელში. უნდა ვიფიქროთ, რომ ციხესიმაგრის ქვეშ იგულისხმება ციკლოპური გალავანი, ხოლო ქალაქი ეწოდება ამ ციკლოპური ციხის ირგვლივ მიმოფანტულ პატარა სოფლებს [5].

რაც შეეხება ნადავლს, მოგაგონებთ, რომ ერახის ქვეყანაში ლაშქრობის დროს, სარდური დაეუფლა 412 ცხენს, 6665 ხარსა და 25735 ცხვარს [12]. დამარცხებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიაუხის მეფე ძღვენის სახით არგიშთი I-ს მოპგერის 1000 საჯდომ ცხენს, 100 ძროხას და 500 ცხვარს [5].



სურ.3. ნორდევანი. ციხის გალავანი.

ცხადია ურარტულ წარწერებში ნახსენები მეფე არ წარმოადგენს სახელმწიფოს მმართველს, ისევე როგორც დასახლებანი ჯერ არ წარმოადგენენ ქალაქებს. ასეთი ქვეყნების მეფეები სინამდვილეში მხოლოდ ბელადებია, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს მეფე-ბელადი გამოეთიშება დანარჩენ მოსახლეობას და იწყებს ცხოვრებას შიდაციხეში, რომელიც ცალკე კედლითაა გამოყოფილი საერთო გალავნიდან. მაგრამ ბელადი, თუნდაც მას ჰყავდეს საკუთარი ლაშქარი, მაინც ჯერ არ უპირისპირდება მოსახლეობას. იგი ცხოვრობს შიდაციხეში, მაგრამ ქალაქის შიგნით, საერთო გალავნის ფარგლებში. ალბათ ბელადს უკვე გააჩნია კერძო საკუთრება - ფუფუნების საგნები, იარაღი, მონები და საქონელი.

რაც შეეხება ციხე-ქალაქისა და ქალაქის ურთიერთობას, აქ საუკეთესო მაგალითია არმაზციხისა და მცხეთის ურთიერთობა. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არმაზის ციხე-ქალაქისა და მტკვრის გადაღმა მდებარე მცხეთის არსებობა ერთდროულად ხდება. მაგრამ არმაზის ციხე-ქალაქი ვეღარ იტევს თავის კედლებში ახალი ქალაქის ტიპის მოსახლეობას, რომელიც მცხეთაში გადადის. ეს უკანასკნელი

ვაჭრულ-ხელოსნური ცენტრი ხდება. არმაზი კი კვლავ მცხეთის [illegible] [13].ამგვარად, ციკლოპური ციხეების გენეზისი შემდეგნაირად გვეხატება: დასახლება (სოფელი), ციხე, ციხე-ქალაქი, ქალაქი.

ციხეების ჯგუფები ქრონოლოგიურად შემდეგნაირად წარმოგვიდგება: პირველი ჯგუფი უძველესი ციხეებია - უპირველესყოვლისა ბეშთაშენის ციხე. იგი განლაგებულია სამკუთხა კონცხზე, რომელიც შექმნილია მდინარეების ხრამისა და გერეკ-ჩაის და ბაშკოვსუს შენაკადების ორ ღრმა კანიონს შორის. ციხეს არ აბლავს მთლიანი ზღუდე, რადგან ორ მხრიდან იცავს ციცაბო ფლატე. ციხის ზომებია სიგრძე 240მ და სიგანე - 135მ, ციხის შიგნით ფართობი დაფარულია კედლების ნანგრეკებით. გარდა ბლინდაჟებისა, ქანების ნაპრალებში, გვხვდება დოლმენური ტიპის საცხოვრებლები. ბ.კუფტინის მიერ ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა ერთ-ერთი საცხოვრებლის ზედა ფენაში, მრგვალი პურის საცხობი თონე და ფეოდალური დროის კერამიკა, რაც მოწმობს ციხის ხანგრძლივ გამოყენებას. ციხეში მთავარი კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში, ადრეშუასაუკუნოვან კულტურული ფენის ქვეშ აღმოჩნდა ტიპიური ენეოლითური კერამიკა, კაჟის ისრის წვერები და დანები, სპილენძის სპირალური სამკაულები. ანალოგიური სურათი ჩანს წალკის რაიონში მდებარე ოზნის ციხეზე სადაც აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის ოვალური გეგმის სახლები და ენეოლითური ტიპის კერამიკის ნატეხები [14]. შესაძლებელია ამავე ჯგუფს მივაკუთვნოთ გოხნარის ციხეც.

ციხეების მეორე ჯგუფს შეადგენს ნაგებობანი, სადაც მოთავსებულია მოსახლეობა, ამასთანავე ციხეში გამოყოფილია შიდაციხე. ეს ციხეები მდებარეობს მაღლობებზე ან მთის კალთებზე, მაგრამ არცთუ ციცაბო ფერდობებით. ჩვეულებრივად ეს ფერდობები მიმართულია მდინარეებისკენ. სოფელი აქ ნაწილობრივ ჩართულია ციხის კედლებში, დარჩენილი ნაწილი კი განაწილებულია ციხის ირგვლივ. ამ ციხეების ძირითად თვისებას წარმოადგენს მცირე შიდაციხის გამოყოფა, სადაც შეიძლება მოთავსებულიყო მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი. ნაქალაქარსა და შიდაციხეს აქვს საერთო კედელი, ამას გარდა შიდაციხე გამოყოფილია საკუთარი მძლავრი კედლით, რომელიც იცავს მას არა მარტო გარედან, არამედ შიგნიდანაც, საკუთარი მოსახლეობის მხრიდან. ყველაფერი ეს მიუთითებს გვაროვნულ საზოგადოებაში დაწყებულ დაშლის პროცესზე. ამ ჯგუფის მაგალითებია: სანთა, თაშ-ბაში აშკალა, კნოლე და სხვ.

ციხეების მესამე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ იმ ციხეების უმრავლესობა, რომელთაც ახასიათებთ ტალღისებური- გოფრირებული კედლები კოშკებისა ან ეკვი, კონტრფორსების მსგავსი შვერილებით. ამასთან ერთად, საერთო მსგავსების მიუხედავად, ამ ჯგუფის ციხეების კედლის წყობა განსხვავდება ქვების უფრო მცირე ზომით და მათი ნაწილობრივი დამუშავებით. ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია ნორდევანის ციხე, რომელიც მდებარეობს წალკის ჩრდილოეთით 20 კმ მანძილზე, ამავე სახელობის სოფელთან. ციხე გეგმაში ოთხკუთხა ფორმისაა, ზომებით 24x18 მ. დასავლეთიდან ციხეს აქვს ვიწრო შესასვლელი. ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით შექმნილია დამატებითი საყრდენი კედლები, ამოყვანილი მეწყერისაგან დაცვის მიზნით და სასარგებლო ფართობის გასადიდებლადაც. სამხრეთის საყრდენის სიგრძე 32 მეტრია, სიგანე ორიდან ხუთ მეტრამდე, ჩრდილოეთისა სიგრძეშია 25 მ, სიგანით- 8 მ. ყველაზე დიდია დასავლეთის ბაქანი, რომლის სიგრძე 38 მ, სიგანე 12-16 მ. ეს ბაქნები აგებულია მსხვილი ქვებით, რომლებიც დაწყობილია მათი ბუნებრივი ფორმის გათვალისწინებით. ამის გამო შექმნილია კედლის უფრო სწორი ზედაპირი, ხოლო გარე კედლები ტალღოვანია.

ნორდევანთან ახლო დგას ამავე რაიონში მდებარე გუმბათის ციხე. იგი მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით ბორცვზე და ოთხკუთხა მოხაზულობისაა. კედლები აქაც გარედან ტალღისებურია. ციხეების ასეთი გეგმარება მოწმობს დაკვალვას კოშკებისა და კონტრფორსების განაწილებით. ქვები წყობაში შერჩეულია მათი ფორმის მიხედვით და ნაწილობრივ დამუშავებულია. დამახასიათებელია ამ ციხეების მდებარეობა შედარებით დაბალ, უმნიშვნელო ბორცვებზე. ამ ციხეებს შეიძლება მივაკუთვნოთ სანთას და ავრანლოს ქვედა ციხე. ასეთი ციხეების შექმნა ვამოწვეულია რეალური საფრთხით. ციკლოპური ციხეების არსებობა მართებულია ძხოლოდ თვით კოლექტივების დანაწევრების დროს, გვაროვნულ-თემური კავშირების განცალკევების შემთხვევაში. ტომობრივი გაერთიანებები, ორგანიზებული ერთიანი ეკონომიკური ინტერესებით, აღარ საჭიროებენ ესოდენ რთულად გამოხატულ თავდაცვას [3].

ამ ციხეებს მეცნიერთა უმრავლესობა ათარიღებს ძვ.წ.IX-VII საუკუნეებით. სანთას ციხის კედლის ქვეშ აღმოჩნდა სამაროვანი სინქრონული ელინისტური ან გვიანი აქემენიდური ეპოქისა. სხვა ციხეების (ნორდევანი, ავრანლო) კედლების გაძოკვლევამ არ მოგვცა უფრო ადრეული ფენები, რაც მიუთითებს ამ ციხეების აშენებაზე ძვ.წ.I ათასწლეულის ბოლოს ან მის შუა პერიოდზე [4].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციკლოპური ციხეები და ნასახლარები მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით, უცილობლად იმსახურებენ შემდგომ დეტალურ შესწავლას.

1. ლ.მელიქსეთ-ბეგი. მეგალითური კულტურა საქართველოში, 1938.
2. Т.Тороманян. Дохристианское архитектурное искусство, 1921, с.207.
3. И.Мещанинов. Циклопические сооружения Закавказья. Известия ГДНИК, т.XVIII, 1932, с.207.
4. Б.Куфтин. Археологические раскопки в Триалети, 1841.
5. გ.მელიქიშვილი. საქართველოს კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის. 1955. გვ. 88-91.
6. Н.Цицишвили. История грузинского зодчества, 1955.
7. Н.Джанберидзе, Н.Цицишвили. Архитектура Грузии. 1976.
8. В.Цинцадзе. К изучению архитектуры городов-крепостей древней Грузии. 1987. труды Тбилисской Государственной Академии художеств.
9. ნ.შანშიაშვილი, გ.ნარიმანიშვილი. თრიალეთის ციკლოპური ნამოსახლარები. 1996. ძეგლის მეგობარი № 4 (95).
10. Г.Цулукидзе. Геологические исследования в области речных долин Алгети и Храми. Материалы для геологии Кавказа, 1887, т.1, 1, 931-932.
11. Э.Грушка. Развитие гидростроительства, 1963, Братислава, ...
12. Б.Пиотровский. Археология Закавказья, 1949, с.57.
13. შ.მესხია. საისტორიო ძიებანი, ტ.II, 1983, გვ.25.
14. Б.Куфтин. Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, 1948, с.26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ხოშტარია

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

სათლეს ეკლესია

ისტორიულ შავშეთში, ახლანდელ ქალაქ შავშათის (Šavšat) მისადგომებთან, ადგილზე, რომელიც სათლელს (Satlel) უწოდებენ, შემოინახა დიდი ზომის ეკლესია. მხოლოდ უცნაური შემთხვევითობით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ნაგებობა ბოლო დრომდე ვერ მოხვდა მკვლევართა ყურადღების სფეროში - ის ლამის ზედ გზის პირას დგას და კარგად არის ცნობილი ადგილობრივ მცხოვრებთათვის. მიუხედავად ამისა, მას გაკვრითაც არ იხსენიებენ არც ახალი დროის მეცნიერები და არც ნ.მარი, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისში დაწვრილებით აღნუსხა შავშეთ-კლარჯეთის სიძველეები. ორიოდე ძალზე მოკლე ცნობა ამ ეკლესიის შესახებ შეიძლება ინახოს მხოლოდ XIX საუკუნის ავტორებთან. გ.ყაზბეგი შენიშნავს, რომ „სათლელის ეკლესია თავის არქიტექტურით სინგოთისას მოგვაგონებს" და ახსენებს აკლდამებსა და ჯვრის გამოსახულებიან დიდ ქვას [1]; ა.პავლინოვი იმის აღნიშვნით კმაყოფილდება, რომ ეკლესია მრავალგზის არის გადაკეთებული და მასში საინტერესო არაფერია (ძირითად ყურადღებას ის ეკლესიის სადიაკვნეში დაცულ სიძველეებს უთმობს) [2].

1995 წლის ივლისში სათლეს (ეს არის ტოპონიმის თავდაპირველი ფორმა) [3]. ეკლესია ინახულა ქართველ ხელოვნების ისტორიკოსთა ექსპედიციამ. აზომვით სამუშაოებთან (ნ. და გ.ბაგრატიონები) ერთად ჩატარდა შენობის არქიტექტურის წინასწარი კვლევაც, რომლის დასკვნებსაც ეფუძნება ეს ნარკვევი.

სათლე შუა საუკუნეებში მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო. ეკლესიიდან რვაასიოდე მეტრის მოშორებით ბორცვზე დგას მოზრდილი, კარგად გამაგრებული ციხე, რომელსაც თურქები შავშათ-კალესის ეძახიან [4]. ციხეს სტრატეგიულად მოსახერხებელი მდებარეობა აქვს – მისი მფლობელები შავშეთისწყლის ხეობაზე გამავალ გზას აკონტროლებდნენ. ვახუშტის მიხედვით, „... არს სათლე, ქალაქი მცირე, და მოსახლენი ვაჭარნი მას შინა" [5]. მოგვიანებით ქალაქის მახლობლად გაჩნდა სომეხ ვაჭართა დასახლება, რომელმაც სათლელ-რაბათის სახელწოდება მიიღო. ის სწრაფად იზრდებოდა და მალე იტკვრია საქალაქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრის ფუნქციები (1930-იან წლებში სათლელ-რაბათის შავშათი დაერქვა). ხოლო ძველი სათლე თანდათან დაკნინდა და სოფლად იქცა. 1980-90-იან წლებში ქალაქის გარეუბნებმა მის ტერიტორიამდე მოაღწია, აქ მაღლივი საცხოვრებელი სახლები გაშენდა და სოფელი პრაქტიკულად გაქრა.

სათლე

გეგმა



სურ.1. სათლეს ეკლესია. გეგმა.

ეკლესია დგას ართვინ-შავშათის სამანქანო გზიდან 50-იოდე მეტრზე, ხელმარცხნივ (გზიდან არ ჩანს), თუთის ხეებს შორის, ძველ სასაფლაოზე. შენობაში ერთხანს ჯამე ფუნქციონირებდა და ამან იხსნა იგი გაპარტახებისაგან. ახლა ეკლესია

უპატრონოდ არის მიტოვებული, მაგრამ მოსახლეობა - რაკი მას ყოფილ სალოცავად აღიქვამს (ეკლესიას ახლაც „სათლელ-ჯამეს" ეძახიან) - მაინც გარკვეული მოკრძალებით ეპყრობა და არ აზიანებს. განსაკუთრებით არის აღსანიშნავი, რომ ნაგებობამ თითქმის სრულად შეინარჩუნა კედლების პირითი წყობა, როგორც შიგნით, ისე გარეთ. ტაო-კლარჯეთის ეკლესიათა უმეტესობა ამ მხრივ გაცილებით უარეს მდგომარეობაშია- ადგილობრივი მცხოვრებნი, როგორც წესი, წყობის ქვებს ხსნიდნენ და მიჰქონდათ, როგორც მზა საშენი მასალა თავიანთი საჭიროებისათვის.

სათლეს ეკლესია რთული აგებულების მოზრდილი შენობაა. ის შედგება ხუთი (ორი დიდი და სამი პატარა) გრძივი ნავისა და მეორე სართულის სათავსისაგან,



სურ.2. სათლეს ეკლესია. აღმოსავლეთ ფასადი.

რომლებიც გარედან საერთო ორფერდა სახურავით არის გადახურული. უკვე ნაგებობის ექსტერიერზე დაკვირვებით ცხადი ხდება, რომ ის რამდენიმე სამშენებლო ფენას შეიცავს - დასავლეთ და, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ფასადებზე მკაფიოდ ჩანს ნაკერები სხვადასხვაგვარი წყობით ამოყვანილ ნაწილებს შორის.

ეკლესიის უძველეს ნაწილს წარმოადგენს სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც მისი ამჟამინდელი განიერი კორპუსის ჩრდილოეთ ნახევარს მოიცავს. ეს ნაწილი ყველაზე ცუდად არის შემონახული - ჩანგრეულია ბაზილიკის შუა და ჩრდილოეთ

ნავების კამარები და ჩრდილოეთ მხარის ბურჯები ზედ გადაყვანილი ფალებითურთ. როგორც ჩანს, ეკლესიის ჯამედ გადაკეთებისას აქ დაზიანება უკვე დიდი იყო, ვინაიდან ბაზილიკის შუა და ჩრდილოეთ ნავები ჯამეში არც ჩაურთავთ – უკეთ შემონახული სამხრეთ ნავი და გვიანი კორპუსი (სამხრეთის ორნავიანი მინაშენი) მათგან კედლით გატიხრეს, ბაზილიკის ჩანგრეულ ნაწილს კი ხის სახურავი გაუკეთდა (ახლა ისიც ჩაქცეულია) და წინაკარის ფუნქცია დაეკისრა.





სურ.3. სათლეს თავდაპირველი ბაზილიკა.
გეგმა და განივი ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ (რეკონსტრუქცია).

თავდაპირველი სამნავიანი ბაზილიკის კედლები შიგნითაც და გარეთაც ამოყვანილია უხეშად დამუშავებული თანაბარზომიერი ქვებით. ისინი სწორ ჰორიზონტალურ რიგებად (მეტწილად 25-30 სმ სიმაღლისა) ლაგდება, მაგრამ

ერთმანეთს მჭიდროდ არ ერგება, ქვებს შორის (განსაკუთრებით კუთხეებთან) რჩება დიდი ღრეჩოები, რომლებიც კენჭებითა და კირის ხსნარით არის ამოსებული. კედლის გული დულაბისაა. ასევეა გამოყვანილი აფსიდის კონქიც. ზოგიერთი ნაწილისათვის (თაღები, იმპოსტები, კაპიტელები, ღიობთა წირთხლები, ბურჯების კუთხეები და სხვა) სუფთად თლილი ქვა უხმარიათ.

ბაზილიკა მცირეოდენ არის აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე წაგრძელებული. მას ჰქონდა ორი წყვილი ბურჯი (შემორჩა მხოლოდ ორი ცალი სამხრეთ მხარეს. ისინი ახლა თურქების მიერ ჩაშენებულ კედელში სხედან). ბურჯები მსხვილია და მასიური, გეგმით მართკუთხა. მათზე გადადის ფართო თაღები. გვერდითი ნავები ძალიან ვიწროა - 1,0-1,1 მ.სიგანისა, აღმოსავლეთ ბოლოში აფსიდები არ გააჩნიათ. ჩრდილოეთის ნავს ჩრდილოეთ კედელში სამი სარკმელი აქვს. ანალოგიური სურათი იყო ალბათ სამხრეთითაც (შესაბამისი კედელი აქ მთლიანად აღებულია). სამაგიეროდ, შუა ნავის გრძივ კედლებში, გვერდითი ნავების სახურავებს ზემოთ, სარკმლები საერთოდ არ არის. გვერდითი განათების ნაკლებობას შუა სივრცეში ალბათ ნაწილობრივ მაინც ანაზღაურებდა საკურთხეველის ძალიან დიდი სარკმელი (მისი სიგანე შიგნით 124 სმ-ია, გარეთ - 45 სმ). ბაზილიკას შესასვლელები აქვს ჩრდილოეთიდან (ამჟამად მოქმედი) და დასავლეთიდან (ამოუქოლავთ თურქებს). საფიქრელია, რომ კიდევ ერთი კარი იქნებოდა სამხრეთის კედელშიც.

იმპოსტები და კაპიტელები ეკლესიის ინტერიერში მარტივად არის დამუშავებული. პროფილი ყველგან ერთია - ზემოთ თარო, ქვემოთ ცერობი, ვარირებს მხოლოდ მათი სიმაღლის შეფარდება: სატრიუმფო თაღის იმპოსტებზე ისინი ტოლია, ბურჯების კაპიტელებზე ცერობი თაროზე სამჯერ მაღალია. ფასადები სრულიად სადაა, არანაირი დეკორაციული ელემენტები არ გააჩნიათ. ეს თვისება ფრიად საგულისხმოა შენობის დასათარიღებლად - ის მკაფიოდ მიგვანიშნებს IX საუკუნეზე. მეორე მხრივ, აფსიდის უზარმაზარი სარკმელი და ინტერიერის პროფილირებული ელემენტები თარიღს უფრო X საუკუნისკენ წევს. ამ ნიშნების გათვალისწინებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამნავიანი ბაზილიკა სათლეში აშენდა IX-X საუკუნეთა მიჯნაზე. ზოგადი კომპოზიციითა და გეგმის ძირითადი პროპორციებით ის ახლოს დგას კლარჯეთის ორ ბაზილიკასთან - პარეხთან (IX-X საუკუნეთა მიჯნა) [6] და სვეტთან (X საუკუნის I ნახევარი) [7], აგრეთვე, ზოგი მაჩვენებლით, ორნავიან ეკლესია ნუკა-საყდართან (IX საუკუნე) [8].

ბაზილიკის აგებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მას სამხრეთიდან კიდევ ორი - დიდი და პატარა ნავი მიადგეს, რის შედეგადაც ეკლესიამ რიგულად ასიმეტრიული სახე მიიღო. ახალი ნაწილის საფასადო წყობა ნაკლებად ხარისხიანია ვიდრე ძველისა. სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული (ალაგ-ალაგ თითქმის დაუმუშავებელი) ქვები არათანაბარ, არეულ-დარეულ რიგებად არის დალაგებული. შიდა წყობა უკეთესია (აქა-იქ ჩანს თურქების მიერ ჩატარებული რემონტისდროინდელი შელესილობის ქვეშ). კამარები ნატეხქვანარევი დუღაბითაა



სურ.4. სათლეს ეკლესია. განივი ჭრილი.

დასხმული ქარგილებზე. ბურჯები და თაღები თლილი ქვით არის გამოყვანილი. მთლიანად, ორნავიანი მინაშენის არქიტექტურა ერთგვარი გაუმართავობის შთაბეჭდილებას ტოვებს. კამარის საბჯენი თაღები და აფსიდის კონქი დაბრტყელებული, არასწორი მოხაზულობისაა. უსიამოვნოდ ხვდება მნახველს თვალში ჭუჭრუტანებივით პატარა სარკმლები, განსაკუთრებით აფსიდისა, რომელიც თავისი საოცრად მცირე ზომით მკვეთრად კონტრასტირებს ძველი ნაწილის საკურთხევლის დიდებულ სარკმელთან.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაევები ახალ ნაწილშიც ორი ბურჯითაა გაყოფილი. ისინიც მართკუთხა გეგმისაა, აქვთ სხვადასხვანაირი კაპიტალები. ორივე ნავის კამარებს ორ-ორი საბჯენი თაღი აქვთ ბურჯების ღერძებზე. დიდ ნავში ისინი ორსაფეხურიანია, ეყრდნობა ბრტყელ პილასტრებს, რომლებიც სამხრეთ მხარეს იატაკამდე ჩამოდის, ხოლო ჩრდილოეთით წაკვეთილია და შედგმულია ბურჯებზემოთ ჩასმულ კრონშტეინებზე. პილასტრების კაპიტელები ახლა გადალესილია, მაგრამ ჩანს, რომ პროფილი თაროსა და მის ქვეშ გამოყვანილი 3/4 -წრიული ლილვისაგან შედგება. თითქმის ასეთივე პროფილისაა მცირე ნავის კამარის საბჯენი თაღების იმპოსტებიც (პილასტრები აქ არ არის).



სურ.5. სათლეს ეკლესიის სამხრეთი ნაწილი.
გრძივი ჭრილი დიდ ნავზე, ხედი ჩრდილოეთისაკენ.

აღმოსავლეთ ფასადზე დიდი ნავის სარკმელს მძლავრი რელიეფური თავსართი აქვს, რომელიც მის ზემოთ ფართო ნახევარწრეს შემოწერს და ქუსლებთან ძალიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლე ჰორიზონტალურ გადანაკეცებს იკეთებს. ამ გადანაკეცებს ჰქმნის კედელში კრონშტეინებიანი ჩამჯდარი პატარა მართკუთხა ქვები, რომლებიც თავსართს რკალთან შედარებით 3-4 სმ-ით მეტადაა გამორწეული ფასადის სიბრტყიდან. თავსართსა და სარკმელს შორის გამოკვეთილია მედალიონში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი. დასავლეთის სარკმლის ასეთსავე დიდ თავსართს გადანაკეცები საერთოდ არ გააჩნია. მის ქვეშ სამი ჯვრის კომპოზიციაა, ამათგან შუა ტოლმკლავია და ასევე მედალიონში ჩაწერილი, განაპირებს ქვედა მკლავები ჩამოგრძელებული აქვთ. ეს ჯვრები უფრო სქემატურად და ზედაპირულად არის ნაკვეთი, ვიდრე აღმოსავლეთ ფასადისა.

სამხრეთ ფასადზე თავსართები აქვს კარსაც და სარკმელსაც. კარი (ახლა ამოქოლილია) გარედან სწორკუთხაა, ძალიან დიდი (205 x 65 სმ) ზღუდარის ქვით. თავსართი მის ზემოთაა გაკეთებული და კომპოზიციურად აშკარად ვერ ებმის კარს,

სურ.6. სათლეს ეკლესიის სამხრეთ ნაწილის ინტერიერი.

სწყდება მას. ზღუდარის ქვის შუაგულში ორი არაღრმა ღარისაგან შემდგარი ჩარჩოთი მოფარგლულია მართკუთხა არე, რომელშიც ბუნდოვნად განირჩევა ორი

ჯერის მოხაზულობა (გამოსახულება გადაფხეკილია). სამხრეთის სარკმლის თავსართი ასევე დიდი ზღუდარის ზემოთაა გაკეთებული, სარკმლიდან საკმაოდ მაღლა. ამ თავსართებსაც ძალიან მოკლე გადანაკეცები აქვთ.

ოთხივე თავსართი თაროს მარტივი პროფილისაა, გლუვია, უჩუქურთმო. მათი ფორმა და დამუშავების ხასიათი ყველაზე სანდო საყრდენია ორნავიანი მინაშენის აგების ხანის დასადგენად. ასეთი დიდი, ფართო თავსართები ტაო-კლარჯეთის არქიტექტურაში X საუკუნის I ნახევრიდან ჩნდება (უადრესი ზუსტად დათარიღებული მაგალითი - ხანძთა, 918-941 წლები) [9]. თავიდან ისინი სადაა, თაროს პროფილისა. X საუკუნის II ნახევრიდან თავსართის პროფილი რთულდება (თარო-ცერობი, თარო-ფოსო და სხვა), ხოლო მისი ზედაპირი ხშირად ჩუქურთმით იფარება (დოლისყანა, ექექი, ოშკი, ტბეთი, ოთხთა ეკლესია, იშხანი). სათლეს ეკლესიის ორნავიანი მინაშენის თავსართები თავიანთი გადაწყვეტით ადრეულ ნიმუშებს უახლოვდება (იმავე ხანძთასა და, განსაკუთრებით, სვეტს), მაგრამ გასათვალისწინებულია, რომ ეს მინაშენი არაფრით არ ჩანს ნახელავი ოსტატისა, რომელიც თავის შემოქმედებაში ასახავს ეპოქის არქიტექტურული აზროვნების უახლეს ტენდენციებს. ვფიქრობ, სწორი იქნება, თუ ეკლესიის ამ ნაწილს X საუკუნის შუახანებით დავათარიღებთ.

როგორც ითქვა, მხატვრული თვალსაზრისით ეს მინაშენი თუნდაც იმავე თავდაპირველ ბაზილიკასთან შედარებით ნაკლებად არის ღირებული. მაგრამ ის ძალზე მნიშვნელოვანია X საუკუნის სამხრეთქართული არქიტექტურის საერთო სურათის სრულიად წარმოსაჩენად. იგი მოწმობს, რომ ტაო-კლარჯეთის ამდროინდელ ხუროთმოძღვრებაში მაგისტრალური, „სამეფო" მიმართულების გარდა არსებობდა სხვა, უფრო ხელოსნური მიმართულებაც, რომლის წარმომადგენლებიც ზოგჯერ საკმაოდ მოზრდილ, რთული სტრუქტურის შენობებსაც აგებდნენ. ამ მოვლენის დაწვრილებითი განხილვა უფრო ჩაძიებულ კვლევას საჭიროებს. ამჟამად მხოლოდ შევნიშნავ, რომ ეს ორი მიმართულება, როგორც ჩანს, ურთიერთისაგან მოწყვეტილი არ ყოფილა, ცალკეულ შემთხვევაში ისინი „იკვეთებოდა" კიდეც, რასაც, ვფიქრობ, მოწმობს ხახულისა და პარხლის ტაძრების ზოგიერთი ჩუქურთმისა და მცირე ფიგურული რელიეფის ხასიათი.

მოგვიანებით სათლეს ეკლესიაზე კიდევ ერთი, ამჯერად ნაკლები მასშტაბის მშენებლობა ჩატარდა. ძველ და ახალ დიდ ნავებს შორის, თავდაპირველი ბაზილიკის სამხრეთ ნავისა და ახალი კორპუსის მცირე (ჩრდილოეთ) ნავის თავზე ჩაშენდა მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სართულის სათავსი, რის შედეგადაც შენობა ერთ მასივად შეიკრა. ამ სათავსის დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლები მოპირკეთებულია თლილი ქვით, მაგრამ წყობა მოკლებულია ლაზათს, ყველა ქვა სწორი მართკუთხა მოყვანილობისა არ არის (თუმცა მჭიდროდ კია ერთმანეთზე მორგებული), რიგები ზოგან ირევა.

მეორე სართულის სათავსი გეგმით მართკუთხაა, გადახურულია ცილინდრული კამარით. კამარას ორი საბჯენი თაღი აქვს პროფილირებულ იმპოსტებზე. ოთახის აღმოსავლეთ კედელში არის უსისტემოდ განლაგებული ხუთი ვიწრო სარკმელი



სურ.7. სათლეს ეკლესია. სარკმელი და ამოქოლილი კარი სამხრეთ ფასადზე.

(ამათგან სამი ამოუქოლავთ, მათი მოხაზულობა მხოლოდ ფასადზე იკითხება) და ერთი დიდი (113 X 61 სმ ზომის) მართკუთხა ღიობი, დასავლეთ კედელში - ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკმელი და ასეთივე ღიობი. საფიქრელია, რომ მეორე სართულის სათავსი საცხოვრებელს წარმოადგენდა და მასში სწორედ ამ ღიობებიდან ხვდებოდნენ მისადგმელი კიბის მეშვეობით. ყოველ შემთხვევაში, სხვა ძველი შესასვლელი ოთახს არ გააჩნია. ეკლესიის ჯამედ გადაკეთებისას მას მინბარის ფუნქცია დააკისრეს და ორი დიდი ფანჯრითა და ერთი კარით გახსნეს ორნავიანი ნაწილისაკენ.

მეორე სართულის ჩაშენება სათლეში XIV-XV საუკუნეებში უნდა მომხდარიყო. ამ ხანაზე მიგვანიშნებს მისი საფასადო წყობა. ასეთ დათარიღებას არ ეწინააღმდეგება არც სარკმელთა შემკულობა აღმოსავლეთ ფასადზე - პატარა წარბისებრი თავსართები (ქვედა სარკმლის თავსართსზემოთ ჯვარიც არის გამოსახული) თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება XIII საუკუნის II ნახევარსა და XIV-XV საუკუნეებშიც - საფარის წმ. საბას ტაძარში სადიაკვნეს სარკმელზე [10], ბედიანის „მონასტერში" საკურთხეველის სარკმელზე (აქ თავსართზე სათლეს მსგავსად ჯვარი დგას) [11] და სხვა.

ეკლესიის შენობის უკანასკნელი რეკონსტრუქცია, როგორც ითქვა, დაკავშირებულია მასში ჯამეს მოწყობასთან. ძნელია ითქვას, თუ როდის მოხდა ეს. ყოველ შემთხვევაში, 1874 წელს, როცა გ.ყაზბეგი სათლეში ჩავიდა, ეკლესიაში უკვე ჯამე ფუნქციონირებდა [12]. მოკლე ხანაში (ალბათ შავშეთის რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ) ეკლესიის შენობა სომხებს გადაეცა. 1888 წელს, ა.პავლინოვის მოწმობით, ეკლესია მათ ეკავათ [13]. მოგვიანებით, თურქეთიდან სომხების განდევნის შემდეგ, როგორც ჩანს, ერთხანს აქ ისევ ჯამე გამართეს. ზემოთ აღნიშნული იყო ის ძირითადი ცვლილებები, რომლებიც ამ გადაკეთებებმა შეიტანა ნაგებობის არქიტექტურაში. დამატებით შევნიშნავ, რომ მოგვიანებით თურქებს ნაწილობრივ შეუკეთებიათ ჯამედქცეული ეკლესია. ამ უკანასკნელი რემონტის ყველაზე თვალშისაცემი კვალია სტანდარტული სამშენებლო ბლოკებით ნაგები კედელი ძველი ბაზილიკის ჩრდილოეთ ნავის აღმოსავლეთ კედლის ზემოთ. როგორც ჩანს, ამ დროს განაახლეს წინა რეკონსტრუქციისას გაკეთებული ყავრის საბურველიც.

ბუნებრივია, მოკლე საჟურნალო წერილში შეუძლებელია სათლეს ეკლესიის არქიტექტურის ყველა თავისებურების ვრცლად მიმოხილვა, მაგრამ, ვფიქრობ, ამ წინასწარი შენიშვნებიდანაც ჩანს, რომ ეს არის ძალზე საინტერესო ნაგებობა, რომელიც გარკვეულწილად ახლებურად წარმოაჩენს ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების ისტორიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995, გვ.89.

2. А.Павлинов, Экспедиция на Кавказ 1888 года, Материалы по археологии Кавказа, вып.III, Москва, 1893, გვ.7.

3. ჟოზეფ ნიკოლა დელისლის 1766 წლის რუკაზე პუნქტი აღნიშნულია, როგორც „სათლე" (იხ.Iliazd, Lettres a Morgan Philips Price, Paris, 1990, გვ.21). ჟუვეს 1879 წლის რუკაზე მას უკვე „სათლელი" აწერია (იქვე, გვ. 55).

4.სათლეს ციხის (შავშათ-კალესის) შესახებ იხ: R.W.Edwards, The Fortifications of Artvini: A Second Preliminary Report on the Marchlands of Northeast Turkey, Dumbarton Daks Papers, 40, 1986, გვ. 174-176, ტაბ.31-43.

5. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ.ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ.135.

6. W.Djobadze, Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klardjeti and Šavšeti, Stuttgart, 1992, გვ.51-53. ტაბ.56, 58-60.

7. დ.ხოშტარია, უცნობი სამნავიანი ბაზილიკა კლარჯეთის სოფელ სვეტში, „არქიტექტურა და დიზაინი", I, 1994, გვ. 51-52.

8. დ.ხოშტარია, ნუკა-საყდარი - IX საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი კლარჯეთში, „ძეგლის მეგობარი", № 4, 1988, გვ. 16-23; W.Djobadze, Early Medieval..., გვ.45-46, ტაბ. 45-48; B.Baumgartner, Drei Vergessene Georgische Clöster in der Nordosttürkei: C'q'arostavi, Nuka-Kilise, Midznadzori, Revue des études géorgiennes et caucasiennes, № 8-9, 1992-93, გვ.206-209, ტაბ.7-11; ქ.აბაშიძე, ნუკა-საყდარი, „არქიტექტურა და დიზაინი", I , 1994, გვ.52-53.

9. W. Djobadze, Early Medieval ..., გვ. 30-34; მისივე, A Brief Survay of the Monastery of St. George in Hanzta, Oriens Christianus, 78, 1994, გვ. 165-173, ტაბ. 1-2, 6-10.

10. ვ.ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ.36, სურ.9, ტაბ.5.

11. ვ.ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1994, გვ. 12-13, სურ. 4-5, ტაბ.6.

12. გ.ყაზბეგი, გვ.89.

13. А.Павлинов, გვ.7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მახარაძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

საირხის კაპიტელების დათარიღებისათვის

სოფელ საირხეში, ადგილ ლომინაურში შემთხვევით აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები დიდი ხანია იწვევს სპეციალისტების ინტერესს. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ დორიული ორდერის სვეტისთავებად მიიჩნევს, მეორე ნაწილი ბაზისებად და სხვადასხვა პერიოდს მიაკუთვნებს - ძეგლის ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ.VII-I სს-ის ფარგლებში მერყეობს [1]. ჯ.ნადირაძე მიუთითებდა, რომ საირხის კაპიტელების თარიღები ყველა ნაშრომში დადგენილია მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე, თანმხლები არქეოლოგიური მასალის გაუთვალისწინებლად [2]. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამის საფუძველს ქმნიდა თვით ლომინაურის კულტურულ ფენაში გამოვლენილი უსახური, ერთთავად დალეწილი თიხის ჭურჭელი. თუმცა, გამოირჩეოდა ძვ.წ.IVს-ის უკანასკნელი მეოთხედითა და ძვ.წ.III ს-ის დასაწყისით დათარიღებული ატიკური შავლაკიანი ჯამის ფრაგმენტი და ძვ.წ.IV ს-ის მეორე ნახევრის კრემისფერ ფონზე წითელი სამკუთხედებით მოხატული ჭურჭლის ნატეხი [3]. სიმწირის მიუხედავად, ეს მასალა ჯ.ნადირაძეს მნიშვნელოვან ორიენტირად მიაჩნდა და უპირატესობას ანიჭებდა საირხის კაპიტელების დათარიღებას ძვ.წ. V-IV სს-ით [4].

საირხეში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალების დათარიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, როგორც არქეოლოგიური მასალა, ასევე ნაქალაქარის ქრონოლოგია, რომელიც დაფუძნებულია სოფლის ტერიტორიაზე მდებარე ორი ეტალონური ძეგლის: საბადურისა და წყაროსთავის გორის სტრატიგრაფიულ მონაცემებზე.

საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე გამოიყო სტერილური შრეებით გამიჯნული სამი ნამოსახლარი და ერთი სამარხების შემცველი ფენა. I (ქვედა) კულტურული ფენა ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება, ხოლო II ძვ.წ. VI ს-ით. ძვ.წ. V-IV სს-ში აქ ფუნქციონირებს საირხის არისტოკრატიული წრის წარმომადგენელთა სამაროვანი, რომელიც წყვეტს არსებობას ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში. ძვ.წ. III ს-ის შუა ხანებში ცხოვრება ამ ადგილზე განახლდა. სამარხები გადაფარულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურული ფენით, რომელიც ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [5].

წყაროსთავის გორაზე გამოიყო ხუთი ნამოსახლარი ფენა: I (ქვედა) ძვ.წ. VIII-ს



სურ.1. საირხის კაპიტელი.
გრაფიკული ჩანახატი.

VIIსს., II-ძვ.წ. VI-IVსს., III-ძვ.წ. IVს-ის მეორე ნახევარი და ძვ.წ. IIIს-ის დასაწყისი, IV-ძვ. წ. III ს-ის შუა ხანები და ძვ.წ. IIს-ის პირველი ნახევარი. მეხუთე კულტურული ფენა შეიცავს ძვ. და ახ.წ.პირველი საუკუნეებისთვის ტიპიურ ნაწარმს [6].

ჩვენ მიზანს შეადგენს დავადგინოთ რა მიმართებაში იმყოფება მოყვანილ ქრონოლოგიურ შკალასთან ლომინაურის არქეოლოგიური მასალა. მიუხედავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისა, რომ აქ ძირითადად წარმოდგენილია უსახური და დალეწილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, მათ შორის არ გვხვდება საბადურისა და წყაროსთავის გორის სულ ქვედა (ზოომორფული ყურები და სახელურები, ყელდაღარული ქილები, სწორბორტიანი, დაბალქუსლიანი ჯამები, ყურმილიანი დოქები და სხვა) და ზედა კულტურული ფენებისთვის ტიპური ნაწარმი (ხაოიან ზედაპირზე წითლად მოხატული დოქები, ქოთნები, კოჭობები, ღრუქუსლიანი ჯამები, აგრეთვე გვიანელინისტური ხანისთვის დამახასიათებელი შავპრიალა კერამიკის ჯგუფი [7]. ეს გარემოება გამორიცხავს საირხის კაპიტელებისთვის შემოთავაზებულ ყველაზე ადრეულ (ძვ.წ. VII-VI სს. - ი.პიჩიკიანი) და გვიანდელ (ძვ.წ. II-I სს. - გ.ყიფიანი) თარიღებს [8].

ლომინაურში გამოვლენილია ერთი კულტურული ფენა, რომლის სიმძლავრე 80-120 სმ-ს შორის მერყეობს ჯ.ნადირაძე აქ ორი ჰორიზონტის არსებობას მხოლოდ არქეოლოგიური მასალის ანალიზიდან გამომდინარე ვარაუდობდა- შავსა და ნაცრისფერკეციან ნაწარმს ადრეანტიკურ ხანას, ხოლო მოწითალოდ გამომწვარ ჭურჭელს ელინისტურ ხანას აკუთვნებდა [9]. ამ ორი ჯგუფის კერამიკის თანაარსებობა იმ დროისათვის უნიკალური მოვლენა იყო და, ბუნებრივია, ამ ფაქტს ავტორი კულტურული ფენების აღრევით ხსნიდა. ამჟამად, ანალოგიური სიტუაცია დასტურდება არა მარტო საირხის ნაქალაქარის სხვა უბნებში, არამედ მოდინახეს ნამოსახლარზეც. საბადურის გორის, მოდინახეს და ითხვისის ბერძნული იმპორტის შემცველი სამარხეული კომპლექსების არქეოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ შავად და წითლად გამომწვარი კერამიკის თანაარსებობა ყვირილის ხეობისათვის დამახასიათებელი ხდება მხოლოდ ძვ. წ.IV ს-ის შუა ხანებიდან [10].

ამრიგად, ლომინაურის კულტურული ფენის ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებითა და ძვ. წ.II ს-ის პირველი ნახევრით შემოიფარგლება. ამ მონაცემებს შეესაბამება აქვე აღმოჩენილი შაელაკიანი ჯამისა და სამკუთხედებით მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტის თარიღი.

საირხისათვის შემუშავებული ქრონოლოგიური შკალის მიხედვით ლომინაურის კულტურული ფენისთვის მიღებული თარიღი თავსდება ნაქალაქარის ისტორიის ორი ეტაპის ფარგლებში. პირველი მათგანი ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ. წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება. საბადურის გორის დასაელეთ ფერდობზე ამ დროს ფუნქციონირებს სამაროვანი. წყაროსთავის გორაზე გვაქვს ნამოსახლარი ფენა, მაგრამ მონუმენტური ნაგებობების ნაშთები არ არის მიკვლეული.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ძვ.წ.IV ს-ის მეორე ნახევარში საირხეს, ყვირილის ხეობისა და საერთოდ აღმოსავლეთ კოლხეთის მატერიალურ კულტურაში მეტად მნიშვნელოვანი ძვრები და ინოვაციები აღინიშნება [11], ფაქტობრივად დასაშვებად მიგვაჩნია აგ ეტაპზე ნაქალაქარის ტერიტორიაზე ორდერული არქიტექტურის ტრადიციების გამოყენებით ტაძრის აგება. არქიტექტურული დეტალების მხატვრულ-სტილისტური ანალიზი არ ეწინააღმდეგება ასეთ შესაძლებლობას, ხოლო არქეოლოგიური წყაროები არც ადასტურებს და არც უარყოფს ამგვარ ვარაუდს.

ქვის არქიტექტურის დამკვიდრება საირხეში ხდება ქალაქის ისტორიის შემდგომ ეტაპზე, რაც დოკუმენტურად დასტურდება წყაროსთავის გორის სტრატიგრაფიული მონაცემებით. მის ჩრდილო- აღმოსავლეთ ფერდობზე გაითხარა ტერასებად განლაგებული გრანდიოზული კომპლექსი. გათლილი კვადრების წყობა ცალკეულ მონაკვეთებში 6 მ. სიმაღლეზეა შემორჩენილი. ქვის ცოკოლზე დაფუძნებული იყო ხის ძელებით არმირებული ალიზის კედლები. კულტურულ ფენაში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა საკმაოდ არქაულია. იმპორტის ნაწილი ძვ. წ. IV ს-ით თარიღდება, ხოლო შესანიშნავად მოხატული კრატერი ამავე საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება [12]. მიუხედავად ამისა, წყაროსთავის კომპლექსი მყარად თარიღდება ძვ.წ.III-II სს-ით. მის საძირკველს ჩაჭრილი აქვს ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრისა და ძვ.წ.III ს-ის დასაწყისის კულტურული ფენა, ხოლო გადაფარულია ფენით, რომელიც შეიცავს ძვ. წ.I საუკუნისათვის დამახასიათებელ არქეოლოგიურ მასალას [13].

ძვ.წ. III-II სს-ით თარიღდება კოდისწყალის ტერიტორიაზე შესწავლილი მოზრდილი ნაგებობა 130 სმ სიგანის ქვის საძირკვლით [14]. ამავე პერიოდს განეკუთვნება სკომიეთის გორაზე გამოვლენილი ნაგებობა, რომლის ქვით მოფენილი საძირკვლის სიგანე 100 სმ უდრის. თლილი ოთხკუთხედი კვადრებით ამოყვანილი ცოკოლი ჰქონდა ლომინაურში გათხრილ ნაგებობასაც (მის ერთ- ერთ კუთხეში დაფიქსირდა შესანიშნავად გათხრილი კვადრი). მისი სიგანე 130 სმ-ს აღწევდა და 8-10 მ სიმაღლის კედლების დაჭერა შეეძლო [15].

ამრიგად დღეს არსებული მონაცემებით ქვის არქიტექტურის დამკვიდრება საირხეში ძვ. წ. III-II სს-ში დოკუმენტურად დასტურდება. ამ პერიოდში დორიული ორდერის კაპიტელებით შემკული ტაძრის არსებობის ალბათობა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე წინამორბედ პერიოდში. ლომინაურის, კოდისწყალის, სკომიეთისა და

წყაროსთავის გორების კომპლექსების სინქრონულობას არქეოლოგიური მასალაც უჭერს მხარს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ საირხის კაპიტელების შექმნა უფრო რეალურია ქალაქის ისტორიის ძვ. წ. III-II სს-ით დათარიღებულ ეტაპზე, კერძოდ მის საწყის საფეხურზე - ძვ. წ. III ს- ში.

ამით შეიძლებოდა დაგვესრულებინა საირხის კაპიტელებზე საუბარი, რომ არა „ძეგლის მეგობრის" 1997 წლის 3 (98) ნომერში ზ. ბრაგვაძის ხელმოწერით გამოქვეყნებული სტატია, რომელიც ტყუპისცალივით ჰგავს ჩვენ ნარკვევს. ერთგვაროვანია არა მარტო ნაშრომის სტრუქტურა და კაპიტელების თარიღი, არამედ თვით დათარიღების პრინციპი. სამწუხაროდ, საქმე გვაქვს ზ. ბრაგვაძის არაკორექტულ ქმედებასთან. ავტორს დაავიწყდა, რომ ორჯერ დაესწრო ჩვენი საკანდიდატო დისერტაციის დაცვას, ხელთ ჰქონდა ავტორეფერატი, ხოლო თვით დისერტაცია ინახება ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში.

1. გ. ლეჟავა, სოფელ საირხეში აღმოჩენილი სვეტისთავების შესახებ, ჟ. „საბჭოთა ხელოვნება" 1962 წ. №2, გვ.49-51; გ. ყიფიანი, საქართველოს ანტიკური ხანის არქიტექტურა, კაპიტელები, თბ. 1987 წ, გვ. 12-14; И.П. Пичикян, Элементы восточного ордера в Колхиде и Иберии в VIIв. до н.э., Всесоюзная конференция по древнему Востоку посвященная помяти акад. Струве, тезисы. М. 1979 г. с. 70 ; Г.Лорвкипанидзе, Колхида в VI-I вв. до н. э. Тб. 1978 г. с. 139.
2. ჯ. ნადირაძე, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, 1990 წ., გვ.110.
3. ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, 1975 წ., გვ. 99-100.
4. იქვე.
5. გ. მახარაძე, საბადურის გორის სტრატიგრაფია და საირხის ნაქალაქარის ისტორიის ძირითადი ეტაპი, თბ. 1991 წ., გვ. 1-14.
6. გ. მახარაძე, საირხის ნაქალაქარის ისტორიის ძირითადი ეტაპები, სადისერტაციო მაცნე, თბ. 1993 წ., გვ. 12-14; წყაროსთავის გორის კულტურული ფენების ანალოგიური თარიღები ჩამოთვლილი აქვს ზ. ბრაგვაძეს, იხ. მისი საირხის კაპიტელების თარიღისათვის, ჟ. „ძეგლის მეგობარი" , 1997 წ.,№3 (98), გვ. 27;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენდა გასაოცრად, ავტორს სქოლიოში დამოწმებული აქვს თავისივე ნაშრომი, იხ. მისი ახალი აღმოჩენები ჩრდილო-აღმოსავლეთ კოლხეთში, კავკასიის არქეოლოგია, თბ. 1997 წ., გვ.11; ავტორს შევახსენებთ, რომ მისი თეზისები მთლიანად დაფუძნებულია ჩემს მიერ 1993 წელს დაცული საკანდიდატო დისერტაციის მონაცემებზე, რომლის ავტორეფერატი მას ხელთა აქვს. ამ ნაშრომში დადგენილია ძეგლის სტრატიგრაფია, დათარიღებულია თითოეული კულტურული ფენა, გამოყოფილი და დახასითებულია ნაქალაქარის ისტორიის რამდენიმე ახალი, მათ შორის ძვ. წ. III-II სს-ით დათარიღებული ქრონოლოგიური ეტაპი, იხ. გ. მახარაძე, საირხის ნაქალაქარის..., გვ. 12.

7. გ.მახარაძე , ლ.ლაშხი , საირხის ელინისტური ხანის კერამიკა, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები, III 1998 წ. გვ.77.

8. როგორც ჩანს ძვ. წ. I ს-ში საირხეს დაკარგული აქვს მნიშვნელობა, როგორც ყვირილის ხეობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ ცენტრს და წარმოადგენს სოფლის ტიპის დასახლებას. ანალოგიური მოსაზრება გამოთქმული აქვს ზ. ბრაგვაძესაც და სქოლიოში მიუთითებს თავის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ნაშრომს, იხ. მისი, საირხის კაპიტელების..., გვ.27 ; ავტორს შევახსენებთ, რომ საირხის ისტორიის ძვ. წ. I- ახ. წ. I სს-ის ქრონოლოგიური ეტაპი გამოვყავით ჯერ კიდევ 1991 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში, სადაც სათანადოდ დავახასიათეთ კიდევაც იგი, იხ. გ. მახარაძე, საბადურის გორის..., გვ. 24-25.

9. ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის...., გვ. 82 და 99.

10. იქვე, გვ. 27- 41 ; გ. მახარაძე, საბადურის გორის...., გვ. 21-22.

11. ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი III, თბ. 1997 წ., გვ. 19-21; გ. მახარაძე , საირხის ნაქალაქარის ..., გვ.18-20.

12. ჯ. ნადირაძე, საირხე საქართველოს..., გვ. 149.

13. გ. მახარაძე, საირხის ნაქალაქარის..., გვ. 12-14.

14. იქვე, გვ. 18-22.

15. ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის..., გვ. 82-83.

ვალერიან ზუხბაია
აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი აღმაშენებელნი

საქართველო ქვის არქიტექტურის ქვეყანაა. საუკუნეთა ქარტეხილებში გამოვლილი განსაცვიფრებელი ხუროთმოძღვრული ძეგლები ქვისაგან არიან ნაგები. ბუნებრივი ქვა ითვლება ყველაზე გამძლე მოსაპირკეთებელ მასალად. ქვით მოპირკეთებული ნაგებობა გამოირჩევა არქიტექტურული გამომსახველობით, განსაკუთრებული მონუმენტურობით, ათასეული წლების მანძილზე გამძლეობით.

სამხრეთ საქართველოში ათასი წლის წინათ (961) აგებულ ოშკის ტაძრის კედელზე არის წარწერა: „ამით დიდებულთა... უშურველ ყენეს საფასენი წარმავალნი წარუვალისა მისთვის", როდესაც ხუროთმოძღვრული ძეგლის მშენებლობაზე ვსაუბრობთ შეუძლებელია არ ვილაპარაკოთ იმ დიდებულ ადამიანებზე, ჩვენს აღმაშენებლებზე, ვისი თაოსნობითაც შენდებოდა ესა თუ ის ნაგებობა, ზედამდგომელ სარქარებზე, რომელნიც ისე თავდადებით ხელმძღვანელობდნენ მშენებლობას, როგორც ეს ანანურის ტაძრის კედლის წარწერაშია აღნიშნული - „არ ვეც ძილი თვალთა ჩემთა ვიდრემდის განასრულებდნენ მონაჩტერს მას", დაბოლოს უშუალოდ მშენებლებზე ვისი „ხელითაც აღეშენა ესე წმინდა ეკლესია"!

საქართველოში განა მოიძებნება ისეთი კუთხე, სოფლად ან ქალაქად, რომ სიძველის რაიმე ნაშთი არ იყოს დარჩენილი: ტაძარი, ეკლესია, ციხე-სიმაგრე ან კოშკი.

ქვის მხატვრულმა დამუშავებამ, გაამდიდრა ქართული ხელოვნება საუცხოო ნიმუშებით, რომელნიც ფორმით კლასიკურობის მწვერვალს აღწევენ, ხოლო წარმოშობით უაღრესად ეროვნულნი არიან. „საქართველოში ქვაზე ჩუქურთმები გამოყენდა იმ დროიდან როდესაც დაიწყეს იმ საუცხოო ტაძრების აღმართვა, რომელნიც გვანცვიფრებენ ჩვენ თავიანთი სიდიდით. ქვიდან ჭრიდნენ კარფანჯრების საპირეებს, ფრიზებს, კაპიტელების ბალიშებს, ზოდურებს, ფრონტონებს და ამით ალამაზებდნენ ტაძრის კედლებსა და მათ გუმბათის ყელებს და ჭრიდნენ ყოველივე ამას ისე ფაქიზად და წმინდათ, თითქოს ეს მორთულობა დანიშნული ყოფილიყოს არა არქიტექტურული შემკობისათვის, არამედ ყველაზე ძვირფასი და ლამაზი სურათის ჩარჩოსათვის"... (ბ.უკაროვა).

ძველ საქართველოში ხუროთმოძღვრულ ძეგლებში მხატვრული ეფექტის გასაძლიერებლად სხვადასხვა ფერის ქვის კვადრებს ხმარობდნენ. „სხვადასხვა ფერის ქვა გამოიყენება არა კონტრასტების, არამედ რბილი ტონალობის გადასვლების აკვარელური სურათების შესაქმნელად. ოსტატები ხშირად მიმართავენ პოლიქრომიას ფერადი ქვების ეფექტს, გამოყენებულს დიდი გემოვნებითა და სიფაქიზით (ბეთანია, ფიტარეთი, წულრულაშენი, გუდარეხი)" (ირ.ციციშვილი „ქართული არქიტექტურის ისტორია").

ქართველი ერი თავიდანვე მშენებელი ერი იყო. ამ მშენებელ ერში ბრწყინავენ სახელები იმ თავკაცებისა, რომელნიც მიუძღოდნენ ერს გარეშე მტერთან ბრძოლაში, სათავეში ედგნენ აღმშენებლობით საქმიანობას.

მეფესთან ერთად ეკლესია-ტაძრებს სასულიერო პირები - კათალიკოსები, ეპისკოპოსები აშენებდნენ, ხოლო ციხე-კოშკებს - დიდ თავადნი ერისთავთ-ერისთავები, ამილახვარები, ორბელიანები, დადიანები, ფანასკერტელ-ციციშვილები, მაღალაძეები და სხვა დიდგვაროვანნი. მშენებლობისათვის სახსრებს იღებდნენ არამარტო მეფეები, ეკლესია, ფეოდალები, ხშირად უფრო დაბალი ფენის წარმომადგენლებიც. ჩვენთვის ეს ცნობილია კედლის წარწერებიდან: მე-13 საუკუნეში ბოლნისის მახლობლად ხატის სოფელსა და წულრულაშენს შორის მდებარე თედორწმინდის ტაძრის მშენებლობაში ვინმე გაბრიელ ჩაბაის ძეს 80 დუკატი გადაუდვია, იოანე ქარეფარეხელს ვენახი და ჭურნი შეუწირავს თედორწმინდის მონასტრის მშენებელობისათვის, ხოლო ვიღაც კავთელ ბერს, ალბათ არაფრისმქონეს, უპოვარს, ერთი ქვა დაუდვია მშენებლობისათვის. საფარის წმინდა საბას ტაძრის წარწერა გვაუწყებს, რომ ვინმე ოქროპირ გაბეცაძეს ტაძრის „ზედა საფიქლავად", ე.ი. გადასახურავად შეუწირავს 120 ბოტინატი და ა.შ.

ქართველი მემატიანეები მეფეთა ცხოვრების აღწერისას ყოველთვის ხაზს უსვამდნენ ორ ფაქტორს: მეფეთა ბრძოლას გარეშე მტრის წინააღმდეგ და ქვეყნის შიგნით აღმშენებლობით მოღვაწეობას. მემატიანენი სამართლიანი არიან თვით მეფეების მიმართაც: მეფე ვარაზ-ბაქარმა „არც არა მატა შენებულთა". იგივეა ნათქვამი მეფე მირდატის მიმართაც („ქართლის ცხოვრება" ტ.1 გვ.136, 138).

ქართველმა ხალხმა დავით მეოთხეს, საქართველოს გამაერთიანებელს აღმაშენებელი უწოდა. ქართველ ხალხს სხვაც ბევრი ჰყოლია აღმაშენებელი, მართალია მთლად დავითის რანგისა არა, მაგრამ ფარნავაზ მეფიდან დაწყებული ერეკლე მეორის ჩათვლით იშვიათად ყოფილა მეფე ქვეყნის აღმშენებლობაზე რომ არ

ეფიქრა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნონ მეფეები: ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ალექსანდრე ღირსი (XVIII ს.), ვახტანგ მეექვსე და სხვა. წერილობითი დოკუმენტებიდან თუ საამშენებლო წარწერებიდან ჩანს, რომ მშენებლობას ჰყავდა ზედამდგომელი, სამუშაოთა მწარმოებელი. ლიტერატურულ ძეგლში „ცხოვრება სერაბიონ ზარზმელისა" ეკლესიის მშენებლობის დროს მოხსენიებულია ზედამდგომელი გარბანელი, „ბალაჯოზია ზედამდგომელსა მაისას შეუნდოს ღმერთმა" აწერია ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ფასადს. არაგვის ერისთავის ბარძიმის ბრძანებით (1689) აშენდა ანანურის ტაძარი, სამხრეთი კედლის წარწერაში ქაიხოსრო ბალსარაშვილი გვაუწყებს, რომ - ერისთავმა დამადგინა მშენებლობის ხელმძღვანელად-სარქარაღი. ქველაზე ძველი ცნობა ხუროთმოძღვარსა და მშენებლობაზე IV საუკუნიდან გვაქვს. მცხეთის ნეკროპოლში ნაპოვნია ქვა წარწერით: „აქ განისვენებს მხატვარიუხუცესი და ხუროთმოძღვარი ავრელი აქოლისი".

დავასახელებთ ხუროთმოძღვრებს თუ მშენებელ ოსტატებს რომელთა სახელებმა მათ შემოქმედებასთან ერთად მოაღწიეს ჩვენს დრომდე: თეოდორე თაფლაის ძე - ერედვის ეკლესიის მშენებელი: „...მე თეოდორე თაფლაის ძემან დაუდე საძირკველი, წელნი იყვნენ ხფი", ე.ი. „906 წ.", საკოცარი, კუმურდოს ტაძრის (964წ.) მშენებელი. სამშენებლო წარწერაში აღნიშნულია: „იოვანე ეპისკოპოსმა დადვა საძირკველი ამის ეკლესიისა ხელით ჩემ ცოდვილითა საკოცარისაითა". კუმურდოს ტაძრის „მთელი ნაგებობის მხატვრული გააზრება, შენობის მძლავრი კედლების ლაღი პროპორციები, დეტალების დამუშავება, სახეების მხრივ დიდად საინტერესო ჩუქურთმები მოწმობს, რომ საკოცარი დიდი ნიჭით დაჯილდოებული, შესანიშნავი ოსტატი იყო, ერთი უდიდესი ხუროთმოძღვარი ძველი საქართველოსი" (ვ.ბერიძე). ბავრელი-ხოფელ ფოკას მე-10 საუკუნის ეკლესიის მშენებელი. ეკლესიის სამხრეთ კედელზე წარწერაა: „... მე, ბავრელი ღირსეიქმენ შენობისა წმიდისა ამის ეკლესიისა, საფუძველი დაიდვა მე თან დავუშვერ, ხელოვანი ვიყავ ოქროპირისა ქართლის კათალიკოსისა".

ხუროთმოძღვარმა ივანე მორჩაის ძემ 1032 წელს გადააკეთა იშხანის ტაძარი. სამხრეთის სარკმელს ირგვლივ შემოუკვლია წარწერა, რომელშიც მთავარ ეპისკოპოსი ანტონ იშხნელი ამბობს:„...ავაშენე ხელითა ივანე მორჩაისძითა".

ჭიჭაფორის ძე - გუდარეხის ტაძრის (XIII ს.) მშენებელი: „...აეშენა წმინდა ესე ეკლესია ხელითა ფრიად ცოდვილისა ჭიჭაფორის ძისათა".

ფარეზის ძე საფარის წმ.საბას ტაძრის მშენებელი „სრულიქმნა საკდარი ესე საძირკველითვე ჯოვლითა ფერითა ხელითა ფარეზის ძისათა“

ჰარაბა არის XI საუკუნეში სავანის ეკლესიის მშენებელი, „ეკლესიასა“ წარწერა, რომ ეკლესია ააშენა საწყალმა ჰარაბამ.

ვახტანგ ბერიძემ სპეციალური შრომა უძღვნა ძველ ქართველ ხუროთმოძღვრებს, მათი ცხოვრებისა და შემოქმედების მიმოხილვით (1956 წ.). ქვემოთ მოცემულია ცნობები იმ ხუროთმოძღვრებზე, რომელნიც ვ.ბერიძის ნაშრომში მოხსენიებულნი არ არიან;

ნიკოლოზ ცხოვრებაძე - ახალციხის რაიონის სოფ.შორეთის ეკლესიის მშენებელი, ე.თაყაიშვილს უნახავს წარწერა: „ღმერთო შეიწყალე ნიკოლოზი, ქვისმთლელთა წინამძღვარი“ (ე.თაყაიშვილი, ახალციხის მაზრის ქრისტიანული ძეგლები).

მიქელი - კუმურდოს ტაძარის X საუკუნის ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულია ქვისმთლელი მიქელი „ღმერთმან კალატოზსა მიქელს შეუნდოს“.

მავრიკ მაშენებელი - უბისის ტაძარზე წარწერაა: აშენებულია 1141 წელს. (ე.თაყაიშვილი).

იმედა - უბისის ტაძრის ერთ ქვაზე არის წარწერა: „გალატოზსა იმედას შეუნდოს ღმერთმა“ (ე.თაყაიშვილი).

მიქელ უფლარი - ღმერთო შეიწყალე ქვისმთლელთა წინამძღვარი მიქელ უფლარი“. წარწერა მარტვილის ტაძარზეა, X საუკუნე.

გალატოზი გიორგი ჯუბინაძე. მარტვილის მუზეუმში დაცულ კირქვის ლოდზე მარტვილის ტაძრიდან არის წარწერა: „ქე შეიწყალე ამისა გალატოზი გიორგი ქართველი ჯუბინაძე“.

აბესალომი ოპიზასთან ახლოს პორტის ეკლესიის მშენებელი „ქრისტე შეიწყალე ქვისმთლელი აბესალომი“ (ა.მ.პავლინოვი 1893). კალატოზი ხატელიშვილი - სოფ.ჭალის ეკლესია (ყვირილის ხეობა) მოხსენებულია „ კალატოზი ხატელიშვილი“ (გ.წერეთელი. არქეოლოგიური ექსპედიცია ყვირილის ხეობაში).

ბაქარბეგ თურმანიძე, მათე, ოქროპირ ქვისმთლელები - ბაგრატის ტაძარი (ვ.ჩაკვეტაძე, ქუთაისის ისტორიისათვის).

გაბრა - „ხელითა გაბრა“. წარწერა მწვანე ყვავილის ეკლესიაზე XI საუკ.(ვ.ჩაკვეტაძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვისმთლელთა წინამძღვარი სიმონი - 1848 წელს მ.ბროსემ ბედიის ტაძრის ერთ კუთხეში იპოვა წარწერა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ტაძარი აშენდა ქვისმკვლელთა წინამძღვრის სიმონის ხელმძღვანელობით.

ბოლნისის სიონის წარწერა 492 წ. 1937 წელს ბალავარის ქვაზე აღმოჩნდა წარწერა. აკად.აკაკი შანიძემ წარწერის ტექსტი ასე აღადგინა: "(შეწევნითა წმიდისა სამებისაით ოც(წ)ლისა პერო(ზ) მეფი(სა ზე) (ხიქმნა დაწყებაი ამის ეკლესიაისაი და ათ ხუთმეტ წლის (ა შემდგომად) განესრულა".

ურბნისის ბაზილიკის სამშენებლო წარწერა: „უფალ ამის იესო ქრისტე კონსტანტი მამა მიქელ შეიწყალე სიონისა მშენებელი".

ორეხვის წარწერიანი სტელა, მე-XI საუკუნე: „მე ლეონტი მროველმან დიდითა მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათვის ღმერთებისა და დღესა ჭირისასა ნავსაყუდელად რუისისა საყდრისა შვილთათვის ჟამთაშინა ალფარსლან ოხრობასათა ქორონიკონსა სპვ (1066 წ.).

იჩქით გურგენის-ძის სამშენებლო წარწერა. ვანის (ვაჰანის) ქვაბის ტაძრის შესასვლელთან ბალავრის ქვაზე აღმოჩნდა თამარ მეფის თანამედროვის იჩქით გურგენის ძის სამშენებლო წარწერა: „იესო ქრისტე ადიდე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ, რომლისა ზე მე იჩქითმან გურგენის ძემან აღვაშენე ლი ესე და დავასუენენ ხატი მაცხოვრისაი" (1184-1204 წწ.).

ვის არ სმენია არსუკიძის - მცხეთის სვეტიცხოვლის მშენებლის სახელი (1010-1029 წწ.) ტაძრის წარწერა გვამცნობს „...აღეგენა ესე წმინდა ეკლესია ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკიძისაითა", ხოლო ჩრდილოეთის ფასადზე ხელისა და გონიოს რელიეფურ გამოსახულებასთან ერთად არის წარწერა: „ხელი მონისა არსუკიძისა შეუნდვეთ" არსუკიძის დახასიათებისათვის მოვიტანთ ვახტანგ ბერიძის მხოლოდ ერთ წინადადებას „არსუკიძის ნაწარმოებებს შუა საუკუნეთა ქართული არქიტექტურის ისტორიაში საეტაპო ძეგლის მნიშვნელობა აქვს".

თაყვანს ვცემთ არსუკიძის გენიას, საკოცარის ტალანტს, თაფლაისძის თუ მორჩაისძის ოსტატობას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს დიდი ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები, რომ „ხუროთმოძღვრების დიდი ქმნილებანი იმდენად ცალკე პიროვნებათა ნაწარმოები როდია, რამდენადაც მთელი საზოგადოების ნამოღვაწარი, ისინი უფრო მეტად ხალხის შრომითა და ოფლით არის შექმნილი ვინმე გენიოსის ადამიანის ზეშთაგონებით".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო ცხოვრების სიახლენი

სესია არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში

1998 წლის 21-28 აპრილს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო სესია - „ საქართველოში 1997 წელს ჩატარებული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები" და კოლოკვიუმი თემაზე- „გვიანანტიკური ხანის იბერიის კულტურა".

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ცენტრის დირექტორმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. ოთ.ლორთქიფანიძემ.

მოსმენილი იქნა შემდეგი მოხსენებები: მ.გაბუნია „სამხრეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია", შ.ჩართოლანი „სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, ზ.მახარაძე „კასპის რაიონის ექსპედიცია", გ.ნარიმანიშვილი „წალკის ექსპედიცია საანგარიშო წელს", ც.ჩიკოიძე „ რუსთავის გათხრები", თ.მიქელაძე, რ.პაპუაშვილი „კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია", ოთ.ლორთქიფანიძე „გათხრები ვანის ნაქალაქარზე", ჯ.კოპალიანი „დმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია შუა საუკუნეების ძეგლებზე".

რამოდენიმე წელია ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახ.სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აწარმოებს გონიო-აფსაროსის ციხის გათხრებს. მისი კვლევის შედეგებს მიეძღვნა დ.ხახუტაიშვილის, ა.კახიძის, შ.მამულაძის, ვ.ჯაფარიძის, ნ.ინაიშვილის, გ.თავამაიშვილის, მ.ხალვაშის, ი.ვარშალომიძის, ტ.ებრალიძის მოხსენება „გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია"

გასულ წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციებმა გარკვეული სამუშაოები ჩაატარეს ნავთობის მილსადენის მშენებლობის ზონაში და სუფსის ტერმინალის ტერიტორიაზე. ამ სამუშაოებს მიეძღვნა მოხსენებები: ც.ჩიკოიძისა და გ.მინდიაშვილის „კახეთის ექსპედიცია მილსადენის მშენებლობის გარდაბნის მონაკვეთზე", ნ.მირიანაშვილის „ნასტაკისის ექსპედიციის სამუშაოები მილსადენის მშენებლობაზე", თ. მეშველიანის „კორბოულის ექსპედიციის ანგარიში", ვ. სადრაძის „ გურიის ექსპედიცია". ამ მოხსენებების დროს დამატებითი ინფორმაციით ნავთობის მილსადენის მშენებლობის შესახებ გამოვიდნენ-საქართველოს მილსადენის კომპანიის გარემოს დაცვის მთავარი მენეჯერი მ.ლედნორი და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის მოადგილე ა.კანდელაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი რამოდენიმე წელია აწარმოებს ერთობლივ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას უცხოელ კოლეგებთან ერთად, რასაც მიეძღვნა რამოდენიმე მოხსენება. ქ.მაინცის რომაულ-გერმანული ცენტრალური მუზეუმისა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ერთობლივი ექსპედიცია სწავლობდა ლმანისის პალეოლითურ ძეგლს. არქეოლოგიური გათხრების შედეგებს მიეძღვნა მ.ნიორაძისა და ა.იუსტუსის მოხსენება, ხოლო ინტერდისციპლინარული კვლევის შედეგებს ლ.გაბუნიას, აბ.ვეკუას, მ.თვალჭრელიძის, დ.ლორთქიფანიძის, გ.მაისურაძის მოხსენებები. კ.ფიცხელაურის, ა.ფურტვენგლერის, ი.გაგოშიძის, ბ.მაისურაძის, ი.მოცენბეკერის მოხსენება ეხებოდა საქართველო-გერმანიის ერთობლივ სამუშაოებს კახეთში. ვ.ლინელის, ი.ლამბაშიძისა და ჟ.მორინის მოხსენება მიეძღვნა საქართველო - კანადის ერთობლივ სამუშაოებს სამცხეში.

28 აპრილს, სესიის დახურვის დროს, რომელიც ითვლება ცენტრის დაარსების დღედ (1977 წელი) მოსმენილი იყო პროფ.ოთ. ლორთქიფანიძის შემაჯამებელი მოხსენება „ არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 1997 წელს".

კოლოკვიუმზე მოხსენებები წაიკითხეს მ.საგინაშვილმა „მხატვრული მინა გვიანანტიკური ხანის იბერიაში", ქ.ჯავახიშვილმა „ელინისტური გლიპტიკის ძეგლები რომაული ხანის ქართლში", გ.დუნდუამ „I-IV სს. რომაული მონეტები იბერიიდან", ვ.ჩიხლაძემ „წინწილები (მუსიკალური ინსტრუმენტი) ძველ საქართველოში, რ.რამიშვილმა „არმაზისხევის ტიპის ძეგლები ისტორიული იბერიის ტერიტორიაზე".

1972 წლიდან ყოველწლიურად გამოდის ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, ხოლო შემდგომ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კრებული „Полевые археологические исследования." ახლახან, დაგვიანებით ობიექტური მიზეზების გამო, გამოიცა მორიგი კრებული, რომელიც მიეძღვნა 1988 წელს ცენტრის მიერ ჩატარებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. კრებულს ახლავს საილუსტრაციო მასალა.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა დაარსა პირველი არქეოლოგიური ჟურნალი „ძიებანი", რომელიც გამოიცა სესიის დაწყების წინ. ჟურნალში, რომელსაც აქვს რამოდენიმე რუბრიკა დაბეჭდილია თანამშრომლების სტატიები და სხვა მასალები დაკავშირებულია ცენტრის ცხოვრებასთან. სტატიებს ახლავს ილუსტრაციები, რეზიუმი რუსულ, ინგლისურ (ზოგს გერმანულ) ენებზე. ჟურნალი

აიწყო და დაკაბადონდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში. წელიწადში გამოვა ორი ნომერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრში მოწყობილ საგანგებო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ნაკოფის მილსადენის მშენებლობის დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები, გათხრების ამსახველი ფოტოები და რუკები.

ბესარიონ ჯორბენაძე

ისტ.მეც.კანდიდატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1997 წლის საველე სეზონი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტში დამკვიდრდა ტრადიცია, რომ ყოველწლიურად, ინსტიტუტის მიერ ჩატარებული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია ტარდება 23 აპრილს, დიდი ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღეს. მცხეთის, საქართველოს ძველი დედაქალაქის არქეოლოგიური შესწავლა მჭიდროდაა დაკავშირებული ივანე ჯავახიშვილის სახელთან.

წელსაც, 23 აპრილს, ქალაქ მცხეთის სარაიონო კულტურის სახლში თავი მოიყარეს სამეცნიერო სესიის მონაწილეებმა და სტუმრებმა. სესია გახსნა და საზოგადოებას მოკლე სიტყვით მიმართა სხდომის თავმჯდომარემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ანდრია აფაქიძემ. მანვე საზოგადოებას გააცნო ინსტიტუტის მიერ 1997 წლის საველე სეზონის ძირითადი მონაპოვრები, ისაუბრა მომავლის პერსპექტივებზეც.

საზოგადოებას მიესალმა მცხეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე ბატონი არმაზ შამანაური. მან აღნიშნა საზოგადოებისა და არქეოლოგთა მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა და დახმარება აღუოქვა მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებს პრობლემურ საკითხთა გადაჭრაში.

სხდომაზე, როგორც აკადემიკოსმა ანდრია აფაქიძემ ასევე ბატონმა არმაზ შამანაურმა მადლიერებით აღნიშნეს საქართველოს პარლამენტის ურბანიზაციის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის პროფ. გია შაიშმელაშვილის დახმარება საველე სამუშაოების წარმართვის საქმეში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ქალბატონმა ეთანათინ ყაუხჩიშვილმა თავისი მოხსენება მიუძღვნა ანტიოქიის ეკლესიაში, სადაც სარესტავრაციო სამუშაოებისას არქეოლოგიურ მეთვალყურეობას აწარმოებდა მცხეთის ინსტიტუტი, მიკვლეულ სტელას (მოგვიანებით ეკლესიის ერთ-ერთი კარის ზღურბლის ფილად გამოყენებულს), რომელზეც 16 სტრიქონიანი ბერძნული წარწერა ყოფილა ამოკვეთილი. წარწერა IV-V სს-ით თარიღდება და მოხსენიებულია სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი მხატვართხუცესი და ხუროთმოძღვარი ავრელიოს ნქოლისი. წარწერაში გვხვდება სხვა სახელებიც: ვინმე აქილევსი და არსპაკორესი.

ბიბლიოთეკა

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ვახტანგ ნიკოლაიშვილისა და უფრ.მეცნ.თანამშრომლის გელა გიუნაშვილის მოხსენება მიეძღვნა არმაზციხეზე არქეოლოგიურ გათხრებს.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გურამ ყიფიანმა ისაუბრა არმაზციხეზე ახლადაღმოჩენილი ანტიკური აბანოს ხუროთმოძღვრებასა და სამშენებლო საქმეზე.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი მანჯგალაძემ საზოგადოებას გააცნო არქეოლოგიური მეთვალყურეობის შედეგები სვეტიცხოვლის ეზოსა და ანტიოქიის ეკლესიაში.

1997 წლის საველე სეზონის მანძილზე სამეცნიერო კონსულტანტობას სწევდა პროფესორი ირაკლი ციციშვილი.

საზოგადოებას უახლესი ცნობა, რომელიც სესიის პროგრამით არ იყო გათვალისწინებული, მიაწოდა ექიმმა პავლე ფირფილაშვილმა. მან ისაუბრა 1998 წელს საქართველოს მინსადენის კომპანიის სახსრებით მცხეთის ინსტიტუტის მიერ ნარეკვავის ტერიტორიაზე გამოვლენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნის გათხრისას მიკვლეულ კრანიოლოგიურ მასალაზე და ერთ-ერთ იშვიათ აღმოჩენაზე. მისი აზრით ერთ-ერთ მიცვალებულს, რომლის სამარხეული ინვენტარი ძვ.წ.II ათასწლეულის ბოლოთი თარიღდება ჩაუტარებიათ თავის ქალის ტრეპანაცია.

სესიას ესწრებოდნენ მცხეთის რაიონის საზოგადოების წარმომადგენლები. რაიონის კულტურის განყოფილებამ დიდად შეუწყო ხელი სესიის წარმატებით ჩატარებას.

სესიის მონაწილეებმა და სტუმრებმა დაათვალიერეს ახალი მონაპოვრები მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტში.

გურამ ყიფიანი
ისტ.მეცნ.დოქტორი
მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის მოადგილე

ირინე გივიაშვილი
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის
კონსულტანტი, ხელოვნებათმცოდნე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი

უკანასკნელი წლების განმავლობაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი მსოფლიო ბანკის მიერ გაწეული ფინანსური დახმარებით მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები საქართველოში წარმატებით ხორციელდება. გაითვალისწინა რა საქართველოს მთავრობამ ჩვენი ქვეყნის კულტურის მნიშვნელოვნება ქვეყნის მომავალი აღმშენებლობის გზაზე და მისი დაუცველი მდგომარეობა, მან თხოვნით მიმართა მსოფლიო ბანკს საქართველოში დაეფინანსებინა სპეციალური პროგრამა კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად. საქართველოს პრეზიდენტის, ე.შევარდნაძისა და მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის ჯ.ვულფენსონის შეთანხმება რეალობად იქცა. 1996 წლის საქართველოს პრეზიდენტის 27 დეკემბრის № 845 ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა. იგი დაფინანსებულ იქნა 432 000 აშშ დოლარის ოდენობის მსოფლიო ბანკის გრანტითა და საქართველოს ბიუჯეტით 40 000 აშშ დოლარის ოდენობით. პროგრამას საწყის ეტაპზევე შეუერთდა ევროსაბჭო ტექნიკური დახმარების სახით.

პროგრამის მუშაობა 6 ძირითადი მიმართულებით განისაზღვრებოდა:

1. თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობისა და გამართული ინსტიტუციური სტრუქტურის შემუშავება;

2. ფინანსური მექანიზმისა და ფონდების მოძიების სფეროს განვითარება;

3. ახალი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე პასპორტიზაცია-ინვენტარიზაციის განახლებული მოდელებისა და კომპიუტერულ მონაცემთა ბაზის შექმნა;

4. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საქმეში ადგილობრივ თემათა ჩართვა და რეგიონებში ამ მხრივ სოციალური დატვირთვისათვის ნიადაგის მომზადება;

5. საზოგადოების ინფორმირების კამპანია სიძველეთა დაცვის მნიშვნელობისა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის აუცილებლობის თაობაზე;

6. ტრენინგი.

პროგრამამ ტენდერის შედეგად შერჩეულ რამოდენიმე რეგიონში იმუშავა: ძველი თბილისი, სიღნაღი, შატილი, თეძმის ხეობა, ჯავახეთი, სადაც 400-მდე ძეგლის პასპორტი მოამზადა. მიღწეულ შედეგთა შორის აღსანიშნავია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ფოტო-გამოფენა, რომელიც „ღია საზოგადოება - საქართველოს", მსოფლიო ბანკის საქართველოს წარმომადგენლობისა და აშშ-ში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკის ფოიეში ამა წლის იანვარ-თებერვალში.

პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა კულტურული მემკვიდრეობის ახალ პროექტზე, რომელიც უკვე კონკრეტული სარესტავრაციო სამუშაოების შესრულებას დაიწყებდა. 1998 წლის 18 თებერვალს, ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკში ხელი მოეწერა დოკუმენტს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის კრედიტის გამოყოფის თაობაზე. 4.490 000 აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი საქართველოს მთავრობამ მიიღო და მისი დაბრუნება 35 წლის განმავლობაში მოხდება. საწყისი 10 წლის განმავლობაში კრედიტის გადახდა შეღავათიანი იქნება, ხოლო შემდეგი 25 წლის განმავლობაში მას მხოლოდ საერთო თანხის 0,75% დაემატება. საქართველოს მთავრობამ საკუთარი წილი გამოყო ბიუჯეტიდან 470 000 აშშ დოლარის ოდენობით. პროგრამასთან თანამშრომლობას განაგრძობს ევროსაბჭო ტექნიკური დახმარების სახით.

1998 წლის 12 მაისს საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება მისცა საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ სესხს მსოფლიო ბანკიდან, რის შედეგადაც 18 მაისს კრედიტმა ეფექტურობა მიიღო.

ახალი პროექტი, რომელიც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის სახელით იმუშავებს დამტკიცებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

პროექტის სამუშაო ვადა სამი წლით განისაზღვრა. 2.750 000 მოხმარდება ოთხი ობიექტის - ძველი თბილისის, სიღნაღის, შატილისა და უფლისციხის რესტავრაცია-ადაპტაციას, ტურისტული მარშრუტების მოწყობას, კერძო ბიზნესის განვითარებას. 1 000 000 დოლარის ოდენობის ფონდი კი გამოყოფილია სასწრაფო, გადაუდებელი სამუშაოების ჩასატარებლად. თანხა გაიცემა გრანტების სახით.

პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 75 000 აშშ დოლარს. შემოსულ წინადადებებს შეისწავლის და პრიორიტეტულს განსაზღვრავს პრეფექტურის არსებული ქართული კულტურის აღორძინების საბჭო. პროგრამამ დამატებითი მოიცვა 50 000 აშშ დოლარის ოდენობის გრანტი ჰოლანდიური ტრასტ ფონდიდან ვარძიაში გადაუდებელი სამუშაოების ჩასატარებლად. პროგრამაში იმუშავებს ტექნიკური დახმარების კომპონენტი - მენეჯმენტის, ტრეინინგის, მონიტორინგის, საზოგადოების მონაწილეობა-დაინტერესების და ინფორმირებისა და სხვა მიზნით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის პირველი სწავლებისა და განახლების სესხი ჩვენს რეგიონში და პირველი კრედიტი მსოფლიო ბანკის პრაქტიკაში კულტურის სფეროში. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი დღეს სამწუხაროდ სახელმწიფო სტრუქტურის ის ერთადერთი რგოლია, რომელიც ფართომასშტაბიან სარესტავრაციო სამუშაოებს განახორციელებს კულტურული მემკიდრეობის სხვადასხვა სფეროს ობიექტებზე. თუმცა კი კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშთა დაცვასთან ერთად, პროგრამის უმთავრეს მიზანს საზოგადოების მომზადება და მათი საკუთარი კულტურისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივება წარმოადგენს.

რაოდენ დიდი არ უნდა იყოს საქართველოს მთავრობის ცდა საკუთარი კულტურული მემკიდრეობის გადასარჩენად სხვადასხვა გზების ძიებისა, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დაინტერესება მეტწილად განპირობებულია ქვეყანაში სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შექმნით. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ამ რეგიონებში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. მცირე სასტუმროების ქსელის შექმნა შატილში, უფლისციხეში, სიღნაღსა და ძველ თბილისში, ხელსაქმის სკოლების, სახელოსნოების აღდგენა დაასაქმებს ადგილობრივ მოსახლეობას და მათი შემოსავლების ზრდას შეუწყობს ხელს. სარესტავრაციო სამუშაოების დაწყება კი დაასაქმებს როგორც მაღალპროფესიონალ რესტავრატორებს, არქიტექტორებს, ხელოვნებათმცოდნეებსა და ინჟინრებს, ასევე უბრალო მუშა ხელს. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთა უმრავლესობა გაჭირვებულია, სარგებელს მიიღებს არა მხოლოდ დასაქმების შემთხვევაში, არამედ ადგილობრივად ორგანიზებული კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტების მეშვეობით, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ სხვადასხვა სახის საინვესტიციო პროგრამების შედგენის, ხორციელებაში მოყვანისა და ზედამხედველობისას. უმთავრესი პირობა პროგრამის წარმატებისათვის საზოგადოების დამოკიდებულებაში მდგომარეობს. ჩვენ უნდა

გაეცნობიერებინათ პრობლემის აქტუალურობა და თავადვე ეძებოთ საშუალებები საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული ფონდის გამარჯვებულ ობიექტებზე გრანტის გაცემის ერთ-ერთ პირობას ხომ აუცილებელი თანამონაწილეობის ხელშეკრულება წარმოადგენს, რაც გულისხმობს, რომ არსებული ობიექტის მფლობელმა, თუ ადგილობრივმა საზოგადოებამ, გაწეული სამუშაოების 10 პროცენტის წვლილი უნდა შეიტანოს ფულად, შრომის ან ტექნიკის სახით. ამგვარი დამოკიდებულება კი იქნება გარანტი მომავალში კულტურული მემკვიდრეობის ამ ობიექტთა და არა მარტო მათი, დაცვისა და შენარჩუნებისა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი არის ნაწილი გაცილებით უფრო ფართომასშტაბიანი ქმედებებისა საქართველოს მთავრობას, მსოფლიო ბანკს, ევროსაბჭოსა და სხვა საფინანსო ორგანიზაციებს შორის, რომელნიც ანვითარებენ საქართველოში აბრეშუმის გზის ხორცშესხმის იდეას.

კულტურული მემკვიდრეობის ფონდის მუშაობის პრინციპი გამჭვირვალობაა და ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია ფონდის ოფისში (თბილისი. ფანასბლის 4, III-3 სართ. ტელ: 25 22 20 ფაქსი: 22 63 12). პროგრამის აღმასრულებელი დირექტორია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი დავით ნინიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიტყდებით, ძვირფასო მკითხველებო, ჩვენს რედაქციას დიდი ხანია სურვილი ჰქონდა გამოექვეყნებინა ქართული ძეგლების შესწავლის ისტორიასთან დაკავშირებული მეუფარი. გავიკითხეთ უფროსი თაობის მოღვაწეთა შორის და ასეთი მასალა აღმოაჩნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ პარმენ ზაქარაიას, ბატონ ნაპოს თურმე 500 გვერდიანი „მოგონებები" ჰქონია დაწერილი - დავწერე. გამოშცემელი კი არ ჩანს - გვითხრა მან გულდაწყვეტით.

სამწუხაროდ, ჩვენი ჟურნალის სპეციფიკა, მისი პერიოდულობაც, არ იძლევა „მოგონებების" მოლიანად გამოქვეყნების საშუალებას. ამიტომ მკითხველს ვთავაზობთ მხოლოდ ნაწყვეტებს, ჩვენი აზრით, ამ საინტერესო ნაშრომიდან. -

ვინც იცნობს ბ-ნ ნაპოს, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებისა და ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთ დამაარსებელს, იცის რა კარგი მოსაუბრეა, რამდენი აქვს გასახსენებელი, ნამოღვაწარი და განცდილი, მიხვდებით, მკითხველო, ჩვენს მიზანს. ვფიქრობთ, მათი გამოქვეყნება საშურია. ჩვენ კი შეძლებისდაგვარად სისტემატურად მოვათავსებთ ნაწყვეტებს მისი „მოგონებებიდან".

რედაქციისაგან

პარმენ ზაქარაია

აკადემიკოსი

მოგზაურობა ძსნის ხეობაში

....ახლა გადავხედე ჩემს მოძრაობებს ექსპედიციებში. მართალი გითხრათ, გამიკვირდა ექსპედიციების ხასიათის მრავალფეროვნება და ხანგრძლივობა და ეს ასე გრძელდებოდა არა ერთი და ორი წელი, არამედ ათეული წლები.

ექსპედიციების სიმრავლე გამოწვეული იყო ორი გარემოებით. პირველი ის კახლდათ, რომ მე მეცნიერებაში ფეხი შევდგი ცოტა მოგვიანებით (სხვადასხვა გარემოებათა გამო უმაღლესში შესვლა სამი წლით გვიან მომიხდა) და საჭირო იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტემპის აღება. მეორე, ჩემი ხელმძღვანელის, აკად.გიორგი ჩუბინაშვილის დიდი ნდობა და დავალება.

ორმოციან წლებში ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში სულ რამდენიმე თანამშრომელი ვიყავით და ხელოვნების ყველა დარგის შესწავლას ვერ ვახერხებდით. არქიტექტურაში ვინც ვმუშაობდით თითქმის ყველანი საკულტოს ვუტრიალებდით. ცხადია, ეს პირველ რიგში ვის უნდა შეემჩნია თუ არა პატონ გიორგის და მან მირჩია, რაც ფაქტიურად დავალება იყო - მემუშავნა ფორტიფიკაციისა და საერო არქიტექტურის შესწავლაზე. ითქვა და გაკეთდა - გადამიყვანეს აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმში, რადგან იქ სამუშაოს ფართოდ გაშლა უფრო იყო შესაძლებელი. აქედან (1948 წლიდან) იწყება ჩემი მარათონი, რომელიც დღესაც გრძელდება!

ექსპედიციების მრავალფეროვნების ახსნა იმითაც შეიძლება, რომ 1947 წ. მოვიპოვე მეცნიერების კანდიდატის ხარისხი და „შემამჩნიეს", „დამინახეს". დაიწყო ჩემი მიწვევები უმაღლეს სასწავლებლებში (შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, თბილისის სამხატვრო აკადემიაში), ძეგლთა დაცვის კომიტეტში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში და სხვაგან.

ძნელი გამოდგა სიმაგრეთა შესწავლის დაწყება. საჭირო იყო თავიდანვე მიზანმიმართულად მუშაობა. ბევრი იყო დამოკიდებული სწორი გეზის არჩევაზე. მაშინ როდესაც საქართველოში ასობით იყო დიდი და პატარა სიმაგრე და მხოლოდ რამდენიმე იყო აზომილი, შეიძლებოდა ჩაკარგულიყავი ამ უკიდეგანო სივრცეში. თანაც, მხედველობაში მისაღებია რომ, ქართული სიმაგრე შედარებით უტყვია. იგი მარტივი წყობითაა ნაგები, თლილ ქვას იშვიათად ხმარობენ, მხატვრული დამუშავება ცოტაა.წარწერები ერთ პროცენტს თუ ექნება, ისტორიულ წყაროებში მეტად ძუნწი მონაცემებია და სხვა. ისევ ბ-ნ გიორგისთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყდა დაგვეწყო შიდა ქართლიდან. ათასი წლების განმავლობაში ეს ქვეყნის გული იყო. მართლაც, აქ ძეგლთა საოცარი მრავალფეროვნებაა და მეტი მასალის მოძიება შეიძლება. თვით შიდა ქართლშიც, ხეობების მიხედვით, საკმაოდ ნაირფეროვნებაა. აქაც გამოიყო ძეგლებით უფრო „დაყურსული" ხეობა. ეს გახლდათ ქსნის ხეობა. წამოწყებამ აშკარად გაამართლა. ახლა, მაშინ როდესაც საქართველოს მთა და პარი ძოვლილი მაქვს, უფრო აშკარად ვხედავ, რომ ქსანი სათავიდან ბოლომდე უნიკალურია. თუ რომელიმე ხეობაზე ითქმის მრავალფეროვნება, ამაზე ითქმის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1948 წ. მაისი, შეკარი ექსპედიცია და საბარგო მანქანით გავემგზავრეთ ერთი თვით (ჩემთან ერთად იყვნენ არქიტექტორები - ვ.წილოსანი, ი.ქავთარაძე, ტ.ამბრიაშვილი და ფოტოგრაფი ვ.თულაშვილი).

სურ.1. ქსანი.

მარცხნიდან ვ.წილოსანი, გ.აბუაძე, პ.ზაქარაია, ს.ბოლქვაძე.

პირველ წელს მთელი ხეობის ათვისება ვერ მოვასწარით და მომდევნო წლებში კიდევ რამდენიმეჯერ ვიყავი მცირე ხნით. ლენინგორის (ახალგორის) რაიკომის მდივანმა გაგვატანა სარეკომენდაციო წერილები, რომელიც, სამწუხაროდ, ჯეროვან არ ჭრიდა. ამ ვიწრო ხეობაში მანქანით მოძრაობა მხოლოდ დარგვისამდე შეიძლებოდა.

ხეობის რუკა კი მიგვქონდა, მაგრამ ზუსტი არ იყო, ამიტომ გვიხდებოდა ხელა მოძრაობა. ვაკვირდებოდით სად ციხე და სად კოშკი გამოჩნდებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ იყო ასეთი შემთხვევა. ჩვენ ძეგლს, რომ დავინახავდით, მანქანას გზაზე ვაჩერებდით და ავდიოდით მთაზე ნაგებობის ასაზომ-შესასწავლად. მძღოლს ერთხელ ერთი არქიტექტორი განზე გაუყვანია და ასეთი რჩევა მიუცია: „კოშკს რომ დაინახავთ ნაპოს ნუ ეტყვითო, დაითვალეთ და თბილისში უთხარითო", ეჰ, ვის რა აწუხებდა, ჩვენ ზემოთ ოფლში ვიწურებოდით, იმას კი ქვემოთ სწყინდებოდა!

ლარგვისი რადგან დიდი მონასტერი იყო, იქ გავიყავით; სამი თანამშრომელი დავტოვეთ და ორნი ცხენებით წავედით ვიწრო ხეობების მოსახილავად. ჯერ ცხრაძმის ხეობას აუყევით და ბოლო სოფელში, უკანუბანში, დავბინავდით. მასპინძლობა გაგვიწია ერთმა ქართველმა, რომელსაც სამამულო ომის დროს ტანკის საფასური შეუტანია და მისი სახელობის ტანკს დიდი ბრძოლები გადაეტანა.

სოფელში მდგარი V-VI საუკუნეების მეტად საინტერესო ციხეზე მან ასეთი გადმოცემა გვიამბო: „კოშკის კარის თავზე მდებარე დიდ ქვაზე ჩემს ბავშვობისას ეწერაო: „ცხრაძმამ დავდევით და ცხა ძმამ გადმოიღეთო". სამწუხაროდ,იქ წარწერა არ იყო და ალბათ არც ყოფილა, მაგრამ ლეგენდა ხომ ლამაზი იყო!

იმავე ხეობაში მდებარეობდა სოფელი დადიანეთი დანგრეული კოშკით და ეკლესიით. საინტერესოა ასეთი სოფლის სახელის აქ გაჩენა.

შემდეგ დღეებში ქარჩოხ-ჟამურის ხეობას აუყევით. ბევრი საინტერესო ძეგლი ავზომეთ. მათი აგების ამპლიტუდა V-XVIII საუკუნეებია. ბოლოს ავაღწიეთ სათავეში მდებარე სოფელ ბაგინამდე, რომელიც მაღალ მთებში, ალპურ ზონაში მდებარეობს და საოცარი სილამაზისაა. იქვეა პატარა ტბა, საიდანაც სათავეს იღებს ქსანი. აქ, განსაკუთრებული ბუნებრივი პირობების გამო, ერთ სოფელს ორი დასახლება აქვს. ზაფხულში ისინი გაშლილ პლატოზე არიან, ზამთარში კი ქვემოთ, ვიწრო ხეობაში მოყუჩებულად ცხოვრობენ.

ამ სოფლის ოსებმა კარგად მიგვიღეს, სარეკომენდაციო წერილმა გაჭრა, მაგრამ ცუდად დაამთავრეს. ჩვენ ცხენებს ვქირაობდით ერთი პუნქტიდან შედარებით უფრო მნიშვნელოვან პუნქტამდე. აქაც სამუშაოს დამთავრების შემდეგ ცხენები ვიქირავეთ. დილით სოფლიდან, რომ გამოვდიოდით, ვიწრო ხეობა გადაგვიკეტა ათიოდე ცხენოსანმა. მათ ერთი უფროსი გამოეყო და გვითხრა: გარიგებულ ორას მანეთს ასი უნდა დაუმატოთო, მიზეზი - გუშინ შეგვეშალაო. გავბრაზდი. უცბად მხრებიდან მოვიხსენი დიდი თერმოსი და ვესროლე წინამძღოლს. მან თავი გვერდზე

გასწია, თერმოსი კლდეს მიასკდა. არავინ არ განძრეულა. ცივ [illegible] მიყურებდნენ. რას იზამ? ირგვლივ მთები, ზემოთ ცა და ქვემოთ მიწა. [illegible] ხმა, არსით ძახილი! მივეცით. ცხენების ერთ გამყოლს არ ენდვნენ და კიდევ ერთიც დაუმატეს.

ამ შემთხვევამ გაგვახსენა, მეორე ოსური სოფელი, რომელიც წინა დღეებში ზემოთ მიმავლებმა გავიარეთ. სოფელში შეღამებისას შევედით. გვჭირდება (ჩვენი თანხით) ღამის გასათევი და საჭმელი. მიგვასწავლეს ცენტრი. იქ მოედანზე რამდენიმე კაცი იდგა. ამოვიღეთ რაიკომის მიწერილობა და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვიკითხეთ. ერთ-ერთმა გვიპასუხა: იყო და წავიდაო. და ეს ხალხი უცბად შემოგვეცალა. იქვე მდგარი პატარა ბიჭი მოგვიახლოვდა და გვითხრა: „ძია, ის

სურ.2. სიმონ ბოლქვაძე და პარმენ ზაქარაია.

ვინც თქვენ გითხრათ - იყო და წავიდაო, თვითონ არის თავმჯდომარე". ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. სოფელში ბევრს მივმართეთ, მაგრამ ოთახი არც

არავინ მოგვაქირავა და არც საჭმელი რამე მოგვყიდეს. რა გვექნა? მოვისყიდეთ კოლმეურნეობის კანტორის მცველი და ის ღამე მაგიდებზე ვიწექით. ასეც ვქენით.

დავუბრუნდეთ ბაგინს. ოთხი ცხენოსანი ხეობის დაღმართზე დავეშვით. გზაზე გვეგულებოდა ჭურთის საინტერესო ანსამბლი. ის მშვიდად და დინჯად ავზომეთ.

ლარგვისში კოლეგებმა სამონასტრო ანსამბლი აზომილი დაგვახვედრეს. მოხუცებულობაში ფეხშედგმული ვალოდია წილოსანი, არქიტექტორი, იმავე დროს კარგი გრაფიკოსი იყო და შესაშური ანაზომები და ჩანახატები დაგვახვედრა. ყველაფერი ეს, შემდგომში გამოხაზა და გამოსაცემად მოამზადა, არქიტექტორ-გრაფიკოსმა, ჩემმა საუკეთესო მეგობარმა, მაღალი დონის ინტელიგენტმა, სიმონ

სურ.3. ლარგვისი.
ხედი სამხრეთიდან

(ღუტი) ბოლქვაძემ, საერთოდაც უნდა აღინიშნოს, რომ მან დიდი ამაგი დასდო ქართული არქიტექტურის შესწავლას და საქართველოში სამუზეუმო საქმის ჩამოყალიბებას.

ლარგვისი გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი იყო, მას სახელმწიფო მნიშვნელობაც ჰქონდა, მას იყენებდნენ სამალავადაც. როცა ცენტრს მტერი შემოესეოდა, ქვეყნის საგანძურს მიუვალ, ან ძნელად მისადგომ ხეობებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადამალავდნენ. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ლარგვისიც ერთ-ერთი ასეთი ჰუნქტთაგანი გახლდათ.

ქსნის ხეობას ერისთავები განაგებდნენ. „ძეგლი ერისთავთა“-ს ავტორი მახსოვეთ, პირველ ერისთავად ბიზანტიის კეისარი იუსტინიანე (527-565 წწ.) ნიშნავს ვინმე როსტომს და საგვარეულო სამარხად მიეცინა მის მიერ აგებული ლარგვისის მონასტერი. ამ ცნობის შემოწმების საშუალება ახლა არ არსებობს. მაგრამ იმის თქმა კი ნამდვილად შეგვიძლია, რომ მონასტრის ტერიტორიაზე მიწის ზეკით იმ ეპოქის ნაგებობის ნაშთიც ალარ ჩანს. სამონასტრო ნაგებობები აქ შემდგომ საუკუნეებშიც რამდენჯერმე აგებულა, მაგრამ წყალდიდობებს წაუღია. მონასტერი დგას იქ, სადაც ქსანს ჭურთის წყალი ერთვის. ჩვეულებრივ პირობებში მცირეწყლიანია, მაგრამ ადიდება უზომო სცოდნია. ახლა აქ დგას 1759 წ.დავით ქსნის ერისთავის მიერ აგებული გუმბათოვანი დიდი ეკლესია და 1721-1741 წლებს შორის შანშე ერისთავის მიერ აგებული ციხე-გალავანი.

შანშე, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ის პიროვნებაა, რომელიც მოჰყვა მეზობელი დიდი იმპერიების ირანისა და ოსმალეთის დაპყრობითი ომების კორიანტელში. ამ ავბედით დროს თითოეულ ფეოდალს უხდებოდა ბრძოლა, არა მარტო გარეშე მტრის, არამედ საკუთარი მეზობლის წინააღმდეგაც. კერძოდ, შანშე საოცარი სისასტიკით გაუსწორდა მეზობელ არაგვის ერისთავს, რადგან არაგველებმა სამშობლოში მისი არ ყოფნისას შანშეს ძმას იასეს ცოლი წაართვეს და ყიზილბაშთ მისცეს. შანშემ თავის ჯარს ლეკის ჯარი დაუმატა და ანანურში გამაგრებული არაგველები ამოწვეს და ამობუგეს. სხვა უბედურებასთან ერთად, ფეოდალურ სეპარატიზმს, ასეთი რამეც ახასიათებს.

აქვე საინტერესოა იმის გახსენებაც, რომ იმავე ეპოქის დამოუკიდებლობისათვის არა ნაკლები მებრძოლი ჰყავდა გივი ამილახორის სახით. ბოლოს მანაც წააგო ბრძოლა და იძულებული შეიქნა გამგზავრებულიყო შაჰის კარზე. მოხდა ისე, რომ შანშე ქსნის ერისთავი და გივი ამილახორი ირანის გზაზე შეხვდნენ ერომანეთს. ამ შემთხვევაზე ბატონი ნიკო ბერძენიშვილი მწარედ შენიშნავს, დაახლოებით ასე - „ერომანეთს შეხვდნენ თვალებდათხრილი შანშე და თვალებდასათხრელი გივი ამილახორი“. სინამდვილეში ისინი იყვნენ, იმავე ბატონი ნიკოს სიტყვებით - „ოსმალო-ყიზილბაშების წინააღმდეგ გაუტეხელი მებრძოლნიო“. რა ექნა ქართველს, მაშინ როდესაც მტრებით გარშემოხვეულთ თავისუფლად ამოსუნთქვის ერთი დღეც არ ჰქონდა!

ლარგვისიდან წამოსულნი ახალგორში დაებრუნდით და შეეუდექით ერისთავთა რეზიდენციისა და ირგვლივ მდებარე ძეგლების შესწავლას. მან ბორის გამოკეთებულ წირქოლის ციხეს. ხეობის გადამკეტად აგებული ეს ციხე, მნიშვნელოვან სიმაგრეს წარმოადგენდა X ს-დან დაწყებული XVIII ს-ის ჩათვლით. პირველ დღეს მთის წვერზე მდგარ ამ ციხეზე, რომ ავდიოდით გზაზე შეგვხვდა პატარა ეკლესია. დავათვალიერეთ, თითქოს განსაკუთრებული არაფერი იყო, მაგრამ შიგ ვნახეთ კუთხეში დაგროვილ ნაგავში ოთხი ჯვარი. ამათგან ერთი იყო საინტერესო. იგი წარმოადგენდა 40 სმ სიმაღლის XV ს. ვერცხლის ჯვარს. ხოლო მეორე შედარებით მომცრო ზომის იყო. იგი ალბათ XIX ს-ის შუა ხანებისა თუ იქნებოდა. ამ გვიან ჯვარს



სურ.4. ახალგორი. ქსნის ერისთავთა რეზიდენცია.
ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

ზურგზე გასაკვირი წარწერა ჰქონდა: „გიორგი მღვდლის დროსაო". საინტერესოა, მღვდელმა თუ როგორ წარმოიდგინა მისი სახელის გავრცელების მასშტაბი; რომელი მეფე გიორგი ის იყო!

სოფლელებმა ჯვრები არ გამოგვატანეს, თუ არა და ნაგავში გადაგდებული ჯვარი, ნამდვილად განწირული იყო დასაკარგად. მოვიფიქრეთ მისი უხმაუროდ წამოღება. მესამე დღეს ჩამოვიარეთ, ზურგჩანთები განგებ შიგ დავაწყვეთ და

შეეუღლებოდა ეკლესიის აზომვას (სინამდვილეში იგი არ ღირდა აზომვად). და ოღონ ყარაულად მინნეულმა ყმაწვილმა ყურადღება მოადუნა, ჩვენ ის ვერცხლის ჯვარი ზურგჩანთაში ჩავდეთ. ჩვენმა გეგმამ გაჭრა; ჯვარი ახლაც ინახება მეჩეჩილის XIII საუკუნეების განკოფილებაში. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ბევრი საინტერესო ნივთი მინახავს მითიანი საქართველოს ეკლესიებსა და კოშკებში, მაგრამ ხოფლელთა წინააღმდეგობის გამო ვერ წამოვიღეთ. ნეტავ მაცოდინა, ის ნივთები ახლაც ადგილზეა?

ახალგორის მიდამოებში ჩვენ არა ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი შევისწავლეთ, მაგრამ მათზე აქ საუბარი შორს წაგვიყვანდა, ამიტომ ახლა მხოლოდ ერისთავთა რეზიდენციაზე ვიტყვით ორიოდე სიტყვას.

ახალგორი ქსნის ერისთავთა ცენტრი ხდება მას შემდეგ რაც მათ თავიანთი ტერიტორია გააფართოვეს. ჩვენი დასკვნით, ეს უნდა მომხდარიყო XVII ს-ის დასაწყისში. თავდაპირველად ისინი „ქვენიფნეფელებად" იწოდებოდნენ და სადღაც ხეობის სიღრმეში იყვნენ. ქვენიფნევს პირველად ჩვენმა ექსპედიციამ მიაკვლია. იგი მდებარეობს ლარგვისის სამხრეთ-დასავლეთით, საკმაოდ მაღალ მთაზე. მემატიანის თქმით იქ იდგა „თბილისური" სასახლეები. სამწუხაროდ, ნანგრევებში ამის მსგავსი არაფერი ჩანს. ერისთავები „ქვენიფნეფელ-ლარგველებადაც" იწოდებოდნენ. ერისთავთა სამარხი (საძვალე) პირველ ხანებში ლარგვისში იყო, ხოლო საერისთავოს გაფართოების შემდეგ, მათი სამარხი გახდა 1172 წ. აგებული იკორთის ეკლესია.

ქსნის ერისთავთა რეზიდენცია ახალგორში ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია ამ ტიპის ანსამბლებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან დაზიანებულია და უამრავ ნაგებობებს შორის მოექცა, გეგმარების ძირითადი კომპოზიციების გარჩევა ხერხდება.

ახალგორში სამმა კომპლექსმა მოაღწია. ორი მათგანი შორი-შორს დგას და ვრცელი გალავნითაა შემოფარგლული. ამ ორიდან ერთი მთავარია, ერისთავის რეზიდენცია, მეორე და მესამე კომპლექსები, ალბათ, ოჯახის უმცროს წევრებს ეკუთვნოდათ.

ქსნის ხეობა ძეგლების მხრივ, ამოუწურავი გახლდათ. ვეცადეთ ბევრი გაგვეკეთებინა, მაგრამ რადგან ეს ვერ მოვახერხეთ, შემდეგ წლებში კიდევ მცირე ხნით რამდენიმეჯერ ვეწვიეთ.

ექსპედიციიდან დაბრუნებისთანავე მასალის დამუშავებას შეუდექით. პირველ რიგში მოვამზადეთ საერთო ანგარიში, რომელიც ჯერ მოხსენებად წავიკითხეთ მუზეუმის აუდიტორიაში. საგანი - საფორტიფიკაციო ნაგებობანი რადგან ახალი იყო და სამეცნიერო არენაზე პირველად გამოდიოდა, უამრავი მსმენელი დაესწრო, აქ იყვნენ: მუზეუმის თანამშრომელთა გარდა, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი დირექტორიანად და დაინტერესებული პირები ისტორიის ინსტიტუტიდან და უნივერსიტეტიდან. მაშინ, საერთოდ, აკადემია ახალი ჩამოყალიბებული იყო, ცოტანი გახლდით და ჰუმანიტარები ერთმანეთთან ახლოს ვიყავით, თითქმის ყველა ერთმანეთს ვიცნობდით და ზოგი სამეცნიერო სესია მრავალდარგოვანი გახლდათ. მაშინდელი ნაცნობ-მეგობარი აქამდე შემომრჩა.

ქსნის ხეობაში მოძიებული მასალა შემდეგში სხვადასხვა სახით იყო გამოქვეყნებული.

DZEGLIS MEGOBARI
Scientific - Popular Journal

ეროვნული ბიბლიოთეკა

Abstract

Irakli Tsitsishvili

ONCE AGAIN ON THE SIGNIFICANCE OF CYCLOPEAN FORTRESSES.

Cyclopean structures are still preserved in large numbers in the South-western part of the historical Georgia.
The author discusses genesis of the Cyclopean structures, which is presented as follows: settlement (village), fortress, fortress - city, city.

David Khostaria

SATLE CHURCH

Satle church is a noteworthy sample of Shavsheti architecture. Its oldest part is a three - aisled basilica dating to the turn of the 9th c. to 10th c. In mid 10th c. a large two - aisled annex was added from the South. In the 14th-15th cc. a first floor chamber was made between two large aisles.
At presented the church is partially damaged.

George Makharadze

TO THE DATE OF SAIRKHE CAPITAL

Architectural details discovered accidentally in western Georgia, village Sairkhe arise great interest of the specialists. Chronological limits of the monument vary within the 7th c. - 1th c. BC.
The author analyses archaeological material unearthed in the environment and proposes that Sairkhe capitals should be ascribed to the 3th c. BC.

Valerian Zukhbaia

OUR BUILDER

The article deals with the builder of the architectural monument of Georgia, their unique activity, whose names are preserved in history.

Besarion Jorbenadze

SESSION AND COLLOQUIUM IN THE CENTRE FOR ARCHAEOLOGICAL STUDIES

On 21-23 April 1998, an the academic session "Result of the Field - Archaeological Investigation in Georgia in 1997" and a colloquium "Late Antique Culture of the Iberia" were held in the Centre for Archaeological Studies of the academy of Sciences of George.

Reports given on the session focused on the archaeological investigation of various monuments, including those in the oil pipeline construction zone and on the territory of Supsa terminal. Report of the work of international expeditions in Dmanisi, Kakheti and Samtskhe were also given.

Periodical of the Centre "Dziebani" was published before the session.

Guram Kipiani

1997 FIELD SEASON

Traditionally, on 23 April, birthday of Ivane Javakhishvili, Mtskheta Archaeological Institute holds an academic session.

This year the session was opened by acad. Andria Apakidze, who discussed main findings of 1997 field session.

Irine Giviashvili

GEORGIAN CULTURAL HERITAGE PROTECTION FOUNDATION

Based on the agreement between Mr. E. Shevardnadze, President of Georgia and Mr. G. Wulfenson, President of the World Bank, Financing of the cultural heritage programme for Georgia by the World Bank was given reality.

The project is envisaged to last for 3 years, the amount will be allotted in the form of grants.

The author states that the work of the Foundation is based on transparency and the whole information can be obtained in the Foundation office: Tbilisi, 73 Barnov street, tel: 25-22-20.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

ირაკლი ციციშვილი
კვლავ ციკლოპური ციხეების მნიშვნელობის შესახებ 3

დავით ხოშტარია
სათლეს ეკლესია 12

გიორგი მახარაძე
საირხის კაპიტელების დათარიღებისათვის 24

ვალერიან ზუხბაია
ჩვენი აღმაშენებელნი 30

ბესარიონ ჯორბენაძე
სესია არქეოლოგიური კვლევის ცენტრში 35

გურამ ყიფიანი
1997 წლის საველე სეზონი 38

ირინე გივიაშვილი
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი 40

პარმენ ზაქარაია
მოგზაურობა ქსნის ხეობაში 44

ანოტაციები ინგლისურად 54

თბილისი, ბაგრატიონი 37

ტელ. 98 36 31

ფაქსი 98 96 58

ოფისი

ასლგაღამლები აპარატურა

ასლგაღამლები
პრინტერები
ფაქსები
კომპიუტერები
სოფისა ავეჯი
ლიზინგი

XEROX & HEWLETT PACKARD

ოფიციალური წარმომადგენელი